ახალი განათლება

04-10.04.2019

№12 (846) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

ქართული ალზრდის ძალადობრივი მეთოდები

გვერდი 4

„მე ვახ ვახდი, ტრიალ მინდორზე მახტო ამოველი და თუ ვინმე ხელს მახლებს, ვშეშლები, ამიტომაც ეჯლები გამომეზახდა. ზოგჯერ ჩემი ეჯლები მე თვითონ მჯანრავს და სისხლი მდის. მინდა დიდი გავიზახდო, ეჯლებს დავშორდე, ეჯლები ჯი გაძლიერდნენ, ველარავინ შემახებს ხელს. მინდა ვეყეთო ცას და დავშორდე მინას.“ – ეს ძალადობის მსხვერპლი 9 წლის გოგონას სავარჯიშოა, რომელსაც ერთ-ერთ ფსიქოლოგთან აჯეთებს და იდენტიფიცირებას ახდენს ვარდთან. ამ ერთი წინადადებით ძალიან ბევრი რამ არის ნათქვამი იმ სიმპტომებზე, რომელიც ძალადობაგამოვლილ ბავშვებს აქვთ.

აქტუალური თემა

სტიგმატიზებული სექსუალური განათლების ბარიერები

გვერდი 2

ბულინგი სკოლაში

ბულინგი სამოქალაქო ცნობიერების პირისპირ

გვერდი 3

სამოდელო გაკვეთილი

Նորագույն մեթոդների օգտագործումը պատմության դասի ժամանակ

ნაღვის მუნიციპალიტეტის სოფელ ოზნის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებლის, ეკატერინე ბაღდასარიანის სამოდელო გაკვეთილი

გვერდი 6

2 აპრილს მსოფლიო აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. სამწუხაროდ, საქართველოში, ისევ პრობლემად რჩება აუტიზმის შესახებ საზოგადოების არაინფორმირებულობა, რაც სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს და დისკრიმინაციას ინვევს. ჩვენს ყოველდღიურ ჯერ კიდევ ვანყდებით შემთხვევებს, როცა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის მშობლებს შვილების საზოგადოებრივი ტრანსპორტიდან ჩაყვანას სთხოვენ ან სკოლებიდან და საბავშვო ბაღებიდან გადაყვანას. არის შემთხვევები, როცა უარსაც კი ამბობენ საგანმანათლებლო პროცესში ჩართვაზე, ამას ემატება სახელმწიფოში არასაკმარისი სერვისები და მომსახურება. ასეთი ყოველდღიური მნიშვნელოვანი მიზეზი კი სწორედ საზოგადოების დაბალი ცნობადობაა.

ერთად უნდა დავამარცხოთ საზოგადოებაში არსებული სტიგმა, შევცვალოთ დამოკიდებულებები და ნორმები, რომლებიც ხშირად დაუძლეველ ბარიერად იქცევა ადამიანებისთვის, რომლებიც საკუთარი პოტენციალის სრულად გამოვლენასა და განვითარებას ვერ ახერხებენ.

აქტუალური თემა

სტიგმატიზებული სექსუალური განათლების ბარიერები

ლალი ჯელაძე

26 მარტს, პარლამენტში, „ბავშვთა უფლებების კოდექსის“ განხილვისას, ინიციატივის ავტორის, **სოფო კილაძის** განცხადებამ, რომ სკოლებში სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები დასაშვები იქნება მშობლის თანხმობით, ხოლო ოჯახის მოთხოვნის შემთხვევაში, სასულიერო პირებს უფლება ექნებათ, ჩაერთონ და მშობლებმა მათთან გაიარონ კონსულტაციები, ისედაც სტიგმატიზებულ სექსუალურ განათლებაში, რომელმაც, ვერც ერთი მცდელობისას, სწორი სახე ვერ მიიღო, კიდევ ერთი ახალი პრობლემა წარმოშვა – რამდენად მართებულია სქესობრივი აღზრდის საკითხების სწავლება სასულიერო პირის ჩართულობით, ან რატომ გადაწყვიტეს ამ კანონის ინიციატორებმა სასულიერო პირებისთვის „სექსუალური განათლების ექსპერტების“ სტატუსის შეთავსება?

სოფო კილაძე აცხადებს, რომ კანონპროექტი სრულ თავსებადობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან: *„თუ რომელიმე მშობელს სურს, რომ მის შვილს ჰქონდეს სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები, ეს შეუძლია, ოღონდ მან უნდა მისცეს თანხმობა. ვისაც არა აქვს ამის სურვილი, ვისი ღირებულებებიც ამას ეწინააღმდეგება, მაშინ სხვა ფორმით უნდა მიიღოს ბავშვმა ეს განათლება. შეიძლება მშობელი იმ კონკრეტული გაკვეთილების შინაარსს არ ეთანხმებოდეს და ასე შემდეგ, ბევრი მიზეზი შეიძლება იყოს.*

სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები დასაშვები იქნება, მხოლოდ და მხოლოდ, მშობლის თანხმობით. ასევე, თუ ოჯახი მოითხოვს, კონკრეტულ კრიზისულ შემთხვევებში, მართლმადიდებელ ეკლესიას და სხვა კონფესიებს, ვისაც მოითხოვს ოჯახი, მათ უფლება ექნებათ, ჩაერთონ და კონსულტაციები გაიარონ ამ კონკრეტულ საკითხთან მიმართებით“. – საკანონმდებლო დონეზე საკითხის ასეთი სახით ფორმულირება კი, მისი აზრით, იმ გარკვეული ჯგუფების გადაჭარბებულ მცდარ წარმოდგენას გაფანტავს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კოდექსი გმობს ტრადიციებს და გარყვნილებას აკანონებს. ამაყობს იმით, რომ: *„კოდექსით საქართველოს კანონმდებლობაში პირველად შემოგვაქვს სიტყვა „სამშობლო“ და ის, რომ ჩვენი ბავშვები ჩვენი სამშობლოს, მისი ენის, კულტურული ტრადიციების და ფასეულობების სიყვარულით უნდა აღვზარდოთ. ჩვენ პირველად შემოგვაქვს საკანონმდებლო დონეზე ის, რომ ჩვენი შვილები მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით უნდა აღვზარდოთ.*

გადავწყვიტეთ, კანონპროექტში ჩაგვეწერა მუხლი, რომელიც აბსოლუტურად თავსებადობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან.“

ვისაც ამის სურვილი არ აქვს, ან ვისი ღირებულებებიც ამას ეწინააღმდეგება, სოფო კილაძე სთავაზობს, რომ განათლება სხვა ფორმით მიიღონ.

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **მარინა ჩიტაშვილი**, სოციალურ ქსელში, პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის ინიციატივას ეხმაურება და ამბობს, რომ ამ კანონით საქართველოს პარლამენტი უცოდინრობას აკანონებს.

კანონშემოქმედთა აფექტური დეტერმინანტები

27.03.2019

დიდხანს ვიფიქრე და გადავწყვიტე, მაინც დავწერო კომენტარი ამ აბსურდზე, რომელიც რადგან ჩაიწერა კანონპროექტში, ეტყობა სულ რიხინ-რიხინით გაივლის მეორე და მესამე მოსმენებს და ფსევდო-პურიტანული მორალით თავსაფარში გამოხვეულ თვალდახრილ ქალებსა და საკუთარი ღირსებით აღვსილი კაცების მორიგ ქარტიად იქცევა.

ცოდნა ანუ სწავლა, გაგება, ახლის შემეცნება – კოგნიტური ანუ საგანმანათლებლო პროცესია, რომელიც პირდაპირ ბმაში არ არის სიამოვნებასთან და ქცევაში გამოვლინებასთან.

კითხვა, მე საიდან მოვედი – სამი წლის ასაკში – ნიშნავს კითხვას – ამ სამყაროს მე ვუყვარვარ თუ არა, რადგან მე პატარა გულიანი ვარ გოლიათების სამყაროში და ვშფოთავ, ქვემოდან გიყურებთ და ვკითხულობ, რამე ხომ არ მომივა? აქ საიდან გავჩნდი? მე არ მაინტერესებს რა კონკრეტული ქცევა განახორციელა ორმა ადამიანმა ჩემი ჩასახვისათვის. მე მათ სრულიად სხვა რამეს ვეკითხები, მე ეგ ზისტენციალური კითხვა მაწუხებს, აქ უსაფრთხოდ ვარ თუ არა? რატომ არ ვარ თქვენისთანა დიდი? რატომ დამყურებთ ზემოდან? პასუხი ჩემს კითხვაზე ძალიან მარტივია – შენ ჩვენი სიყვარულის შედეგად გაჩნდი და შენ ჩვენი სიხარული ხარ!!! და მე, პატარა გულიანი, მშვიდად ვაგრძელებ ცხოვრებას.

7-8 წლის ასაკში მე ისევ დავსვამ ამ შეკითხვას, უკვე ცნობისმოყვარეობის, შემეცნების სურვილის გამო – ადამიანი როგორ ჩნდება – და რადგან სკოლაში უკვე მასწავლიან ბუნებას, რაღაცას ვხვდები, მაგრამ ბოლომდე ვერა და გეკითხებით მხოლოდ და მხოლოდ გაგებისთვის – რა მექანიზმებით მრავლდებიან ადამიანები. ასეთ დროს პასუხი მარტივია – ცოცხალი ორგანიზმების სამყარო, რომელთა ნაწილიც ჩვენ ვართ და ვეკუთვნით ხერხემლიანებს (შეგიძლიათ საკუთარი ზურგიც კი უჩვენოთ და ხერხემლის მალები დაათვლევინოთ) მრავლდება ორი სქესის, მდედრობითი და მამრობითი, შეუღლებით. მდედრობითი სქესი ატარებს კვერცხუჯრედს, მამრობითი სპერმატოზოიდს, ცალ-ცალკე ისინი ვერ წარმოშობენ თავის მსგავსს, ამისათვის სპერმატოზოიდმა უნდა შეაღწიოს კვერცხუჯრედში, გაანაყოფიეროს ის და მერე იწყება უკვე ჩანასახის განვითარება, რომელიც სხვადასხვა სახეობისათვის განსხვავებულ დროს იკავებს. პირველად ვითარდება... და აღარ დავწერ რა და როგორ ვითარდება, ამას წაიკითხავს, ვისაც აინტერესებს და მოუყვება შვილებს.

მე გავიგებ, როგორ ჩნდებიან ადამიანები და შემეცნებით ინტერესს დავიკმაყოფილებ.

მე არაფერს არ შეგეკითხებით, როდესაც 14-16 წლისას შემიყვარდება ვინმე, ჩემი ორგანიზმი იფეთქებს და მე აღმოვაჩენ, რომ ან ქალი ვარ, და ან კაცი და მიზიდავს მეორე და ის, რაც მითხარით 7-8 წლის ასაკში (როგორ ვმრავლდებით), თურმე რა ქცევისკენ მიბიძგებს და ის, რაც მითხარით 3-4 წლის ასაკში, რომ გიყვარვართ ორს, თურმე რას ნიშნავს. მე არ მაინტერესებს თქვენი აზრი სიყვარულის რიტუალი როგორ უნდა შევასრულო, ამას მე თვითონვე მოვძებნი ინტერნეტით და წავიკითხავ, რომ ამის შესახებ 40 საუკუნის წინაც ზუსტად ისევე და იმდენი იცოდნენ, როგორც ჩვენ ვიცით დღეს. სიყვარულის ქცევის მექანიკა თურმე როგორი ძველი და ახალი ყოფილა ერთდროულად.

თუ თქვენ 3-4 ან 7-8 წლის ასაკში მომიყვებით ქალისა და კაცის სქესობრივი ქცევის შესახებ, მე ვერაფერს ვერ გავიგებ, ვერ მივიღებ პასუხს ჩემს კითხვებზე და თქვენსავით გავუცხოვდები საკუთარი თავისაგან და მეგონება, რომ სექსი სირცხვილია, ცუდია და დასამალი. მერე, როდესაც მომწიფების პერიოდი დამიდგება – ხმას ვერ ამოვიღებ, ან თავდაყირა გადავეშვები რომელიმე მარგინალურ ჯგუფში, რადგან არ მეცოდინება რა ხდება ჩემს თავს.

და ეს ყველაფერი იმის ბრალი იქნება, რომ თქვენ, უფროსებმა, ერთმანეთში აურიეთ რამის ცოდნა, როგორც შემეცნებითი პროცესი და კონკრეტული ქცევა, როგორც სიამოვნების მიღება.

ამ კანონით საქართველოს პარლამენტი აკანონებს უცოდინრობას იმის შიშით, რომ სიამოვნების მიღება აკრძალულია და სირცხვილია მათი აზრით. და ასევე ხელს უწყობს ავტორიტეტის მიმართ (მშობლის ნებართვა და თხოვნა) მორჩილებას და აფერხებს ინდივიდუალიზაციის გზაზე საკუთარი თავის გაცნობიერებას და ემოციური ზრდასრულობის მიღწევას.

ყოჩაღ! ზუსტად გაიზიარეთ დასავლური ქვეყნების გამოცდილება – ერთი მაგალითი მაინც მოიყვანეთ თქვენი არგუმენტისათვის. სად ნახეთ იგივე? მშობლის მიერ უარის თქმა რელიგიური მოსაზრებების გამო მიღებულია რიგ ქვეყნებში, მაგრამ ნებართვა, რომ გაკვეთილი ჩაუტარონ, ეს თქვენი მოგონილია. სხვაობასაც ვერ ხედავთ ამ ორ მიდგომას შორის და საყოველთაო პრაქტიკა გგონიათ.

ისიც არ გაითვალისწინეთ, რომ ინტერნეტი არსებობს, თქვენი აკრძალვები არაფერს არ გააკეთებს და თავი დაანებეთ საკუთარი სექსუალური ფანტაზიების რეალობად გასაღებას.

არ გამომაპაროთ როდის აკრძალავთ გარკვეულ სამეცნიერო მიმართულებებს ევოლუციის თეორიის ჩათვლით –ადამიანის ღვთიური წარმოშობის მოტივით – რომ საკუთარი მოკვდაობის და წარმავლობის შიშს გაუმკლავდეთ.

ვინა ხართ? საიდან მოხვედით? სად ისწავლეთ? რა ისწავლეთ? ვინ გითხრათ, რომ ადამიანის ბედი თქვენი გადაწყვეტილებების ანაბარაა!!!

დღეს შევეცადე ჩემი სტუდენტებისთვის ამეხსნა, რას ნიშნავს პროექცია ამ მაგალითზე. მადლობა ასეთი კარგი ქეისისათვის. მშვენივრად გაიგეს და დაიმახსოვრეს. ისიც ავუხსენი, რომ ნებისმიერი აკრძალვის მიუხედავად იდეა, აზრი არასდროს კვდება და მაგალითად: ქრისტიანობა დგას სამ იდეაზე – სიყვარულზე, თანასწორობასა და თავისუფლებაზე.

ის რუსთაველი მაინც წაიკითხეთ, ყველაფერს რომ მისი სახელი დაარქვით, რომ თქვენგან სასაცილოდ აგდებული ღმერთი არ გაწირავს ადამიანს – „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგან განაწირსა“.

* * *

რეალურად რა მდგომარეობაა ქვეყანაში სექსუალური განათლების კუთხით? ამაზე სრული წარმოდგენა რომ შეგვექმნას, გადავხედოთ სახალხო დამცველის მიერ, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით, მომზადებული ეროვნული კვლევის – რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობა და უფლებები – შედეგებს. კვლევაში, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გამახვილებულია სექსუალურ განათლებაზე – *„ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების ნაკლებობა საქართველოს ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში კრიტიკულ გამოწვევას წარმოადგენს პოლიტიკისა და თავად განათლების სისტემისთვის“.*

ნინო ლომჯარია აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ გადადგმული პროგრესული ნაბიჯების მიუხედავად, სისტემური პრობლემები სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის კუთხით ჯერ კიდევ არსებობს, რაც, თავის მხრივ, სერვისების ფინანსურ მისაწვდომობას, სოციალურ ბარიერებსა და ინფორმაციის ნაკლებობას უკავშირდება. ეს ყველაფერი კი, განსაკუთრებული სიმწვავით ეთნიკური უმცირესობების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგონების უფლებრივ მდგომარეობაზე აისახება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ჯანსაღი ცხოვრების წესის ინტეგრაციისთვის, ფორმალური განათლების სისტემაში, ორი ძირითადი საგანი გადაიხედა: „ბიოლოგია“ და „სამოქალაქო განათლება“. ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში (საბაზო საფეხური) ბიოლოგიის სწავლა-სწავლების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მოსწავლის მიერ ჯანმრთელობის და ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაანალიზება და მისი დაცვა. სამინისტროს ცნობით, მე-9 კლასში ისწავლება ნაადრევ ქორწინებასთან/ორსულობასთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური რისკები. უფრო მეტად აქცენტირებული გახდა, ასევე, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების სწავლება. თუმცა, სასკოლო სივრცეში მხოლოდ რამდენიმე საკითხი – ნაადრეული ორსულობა, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები და სქესთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური ასპექტები ისწავლება, რაც არასაკმარისია, რადგან ჩამოთვლილი ასპექტები კომპლექსური

განათლების მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს.

გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის მხარდაჭერით, გადაიხედა და დამტკიცდა დაწყებითი (I-VI კლასების) და საბაზო (VII-IX კლასების) საფეხურის სტანდარტები. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, რეპროდუქციული უფლებების და გენდერული თანასწორობის შესახებ ასაკის შესაბამისი ინფორმაცია ინტეგრირებულია საგნებში „ბუნება“, „მე და საზოგადოება“ (დაწყებითი საფეხურის შემთხვევაში), „ბიოლოგია“ და „სამოქალაქო განათლება“ (საბაზო საფეხურის შემთხვევაში). სკოლის მოსწავლეების ასაკობრივი განვითარების გათვალისწინებით, სტანდარტებში ინტეგრირებულია შესაბამისი თემები გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად. დაწყებულია საშუალო საფეხურის (X-XII კლასების) ბიოლოგიისა და სამოქალაქო განათლების სტანდარტების რევიზია. *„პრობლემურია იმ საკითხების სწავლების ხარისხიც და სიღრმე, რაც ოფიციალურად შედის სასწავლო გეგმაში. როგორც წინამდებარე მონიტორინგმა აჩვენა, სასწავლო პროცესი მრავალი კომპლექსური და ურთიერთგადაჯაჭვული ხარვეზებით ხასიათდება, რაც აბრკოლებს ცოდნის გადაცემას და მოზარდების ინფორმირებულობას“* – ნათქვამია კვლევაში.

სკოლებში ჯერ კიდევ არსებობს პრაქტიკა, როცა მასწავლებელი ტოვებს პროგრამულად გათვალისწინებულ სავალდებულო საათებს და მოსწავლეებს სთხოვს, აღნიშნული გაკვეთილები სახლში წაიკითხონ ან მასწავლებელი ბიჭებსა და გოგონებს აღნიშნულ საკითხებზე ცალ-ცალკე ესაუბრება. ეს ყველაფერი კი იმით აიხსნება, რომ ადამიანის სექსუალობის შესახებ სწავლებაზე გავლენას ახდენს საზოგადოებაში არსებული სტიგმა და მასთან ასოცირებული ტაბუები – ჯერ კიდევ არსებობს ბიოლოგიის მასწავლებლების მხრიდან უხერხულობის განცდა ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სქესობრივ აგებულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისას. მასწავლებლების მსგავსად, მოსწავლეები მოუმზადებლები ხვდებიან ადამიანის სექსუალობაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესსა და სქესობრივ აგებულებაზე ინფორმაციას, რაც მათი მხრიდან უხერხულობის განცდით გამოიხატება.

„ადამიანის სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხების სწავლება მკაცრად ექვემდებარება მოქმედი სტანდარტით შემუშავებული სახელმძღვანელოს შინაარსს, რაც შინაარსობრივად ზღუდავს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს და არ აძლევს მათ საკითხში ჩაღრმავების შესაძლებლობას“ – ვკითხულობთ კვლევაში.

ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ მნიშვნელოვან დაბრკოლებებს წარმოშობს მასწავლებელთა დაბალი კომპეტენცია, სახელმძღვანელოების შინაარსობრივი შეზღუდულობა და, არსებული სტანდარტის ფარგლებში, განათლების მიწოდების არაპერმანენტული ხასიათი როგორც სწავლების პროცესში, ისე საკლასო განხილვების დროსაც.

პრობლემის მასშტაბურობის მიუხედავად (რაშიც ყოველდღიურად ვრწმუნდებით), სახელმწიფო, საზოგადოებისა და განსაკუთრებით ბავშვებისათვის ხელმისაწვდომ ფორმატში, არ ახორციელებს საინფორმაციო აქტივობებს, კამპანიებს; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არ ტარდება საგანმანათლებლო ღონისძიებები ბავშვებში ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, საზოგადოება ჯერ კიდევ სტიგმის ტყვეობაშია და უხერხულობას განიცდის, როცა ვინმე საუბარს ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სქესობრივ აგებულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე იწყებს, ხშირ შემთხვევაში, უბრალოდ არ ესმით, რომ არსებობს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებები ან რას მოიაზრებს სექსუალური შევიწროების დეფინიცია. შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანები, საზოგადოების მხრიდან ზეწოლის მსხვერპლი ხდებიან, რადგან როგორც კი რამე ფაქტი გახმაურდება არასრულწლოვანთა სექსუალურ შევიწროებაზე, საზოგადოების ნაწილი ხელს დაზარალებულისკენ იშვერს და ამბობს, რომ ბავშვი იგონებს და ეს მისი ფანტაზიის ნაყოფია, ამ თემაზე საუბარს კი „გარყვნილებად“ მიიჩნევს. სად არის გამოსავალი? კანონმდებლები გამოსავალს „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ ჩანაწერით გვთავაზობენ, რომელიც სექსუალური განათლების მისაღებად მშობლის თანხმობას და, ოჯახის მოთხოვნის შემთხვევაში, სასულიერო პირებთან კონსულტაციებს გულისხმობს. საინტერესოა, რა სახის კონსულტაციებს გაუწევენ სასულიერო პირები? ყველაზე საგულისხმო კი ის არის, რომ სასულიერო პირი ყველაზე ნაკლებად გამოდგება სექსუალური განათლების ექსპერტად, რაც, სავარაუდოდ, ამ საკითხის კიდევ უფრო მეტად სტიგმატიზებას გამოიწვევს და შედეგად კიდევ უფრო დამახინჯებულ ღირებულებებსა და მომავალს მივიღებთ.

ბულინგი სკოლაში

ბულინგი სამოქალაქო ცნობიერების პირისპირ

მასწავლებლისა და თანაკლასელების ბულინგის მსხვერპლს მშობლებიც დაუპირისპირდნენ

1 აპრილს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა გაავრცელა განცხადება:

„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს, გამოვეხმაუროთ ახალციხის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში მომხდარ ინციდენტს, რომელიც მოსწავლე ბიჭის მიმართ სავარაუდო ბულინგის ფაქტს უკავშირდება.

აღნიშნულ სკოლაში წარმოდგენილია საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური. როგორც კი მანდატურმა შეიტყო იმ ფაქტის შესახებ, რომ სკოლის მოსწავლე, შესაძლოა, ყოფილიყო ვერბალური ბულინგის მსხვერპლი და ამასთან, საფრთხის წინაშე იდგა სასკოლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობა, დაუყოვნებლივ აცნობა მანდატურის სამსახურს. ახალციხეში მყისიერად გაემგზავრა აღნიშნული სამსახურის კრიზისული ინტერვენციის ჯგუფი, ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების შემადგენლობით. მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების თანხმობით, მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლები გაესაუბრნენ კონფლიქტში ჩართულ ყველა რგოლს, შეასრულეს მედიატორის როლი და განახორციელეს ინდივიდუალური სამუშაოები, რის შემდეგაც, საგანმანათლებლო პროცესი სკოლაში აღდგა და დღესაც შეუფერხებლად მიმდინარეობს. რაც შეეხება კონკრეტულ მოსწავლეს, რომელიც, შესაძლოა, იყოს ბულინგის მსხვერპლი, განხორციელდა მისი რეფერირება მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის შემთხვევაში, ცენტრის მაღალკვალიფიციური ფსიქოლოგები განახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას.

მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, შსს-ში მიმდინარეობს გამოძიება სსკ-ის 126-ე მუხლის 1 პრიმა ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

მანდატურები აგრძელებენ მუშაობას სკოლაში და საჭიროების შემთხვევაში, მზად არიან დაუყოვნებლივ აღმოფხვრან ნებისმიერი ინციდენტი, რამაც, შესაძლოა, დააზარალოს მოსწავლეთა უფლებები და ხელი შეუშალოს სასკოლო პროცესის წარმართვას.“

ახალციხის ერთ-ერთ სკოლაში მომხდარ ფაქტს, რომელზეც განცხადებაშია საუბარი, პირველი „სამხრეთის კარიბჭე“ გამოეხმაურა. მათი ინფორმაციით, მოვლენები ასე განვითარდა: 18 მარტს, ახალციხის ერთ-ერთ სკოლაში, მეექვსეკლასელი ბიჭი მესამე გაკვეთილზე შეუძლოდ გახდა, სკოლის ექიმთან აკანკალებული მიიყვანეს, თუმცა, ექიმმა ვერაფერი შეამჩნია. დედამ კი, რამდენიმე დღეში, თბილისში, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში წაიყვანა, სადაც მოზარდს ნევროზულ ნიადაგზე განვითარებული რიგი პრობლემები დაუდგინდა და დაენიშნა მკურნალობის კურსი.

მეექვსეკლასელი ბიჭის დედამ, ბავშვის სამედიცინო დოკუმენტები, 23 მარტს, სკოლის დირექციას პოლიციის თანდასწრებით წარუდგინა. მშობელი ამბობს, რომ ბავშვს ჯანმრთელობის პრობლემები მასწავლებლისა და თანაკლასელების ბულინგის გამო შეექმნა.

„ყველაფერს ყვება, რა როგორ იყო თავიდან, მაგრამ როცა იქამდე მიდის, თუ რას ეუბნებოდნენ, რას უკეთებდნენ და როგორ ექცეოდნენ, ტირილი უტყდება და ლაპარაკი უჭირს“ – ამბობს დედა.

რა გახდა ბულინგის მიზეზი? სკოლაში მე-8 და მე-9 კლასების მოსწავლეებმა იჩხუბეს. საქმეში მანდატური ჩაერია და მოკვლევა პოლიციამაც დაიწყო. 11 წლის ბიჭს ამ ჩხუბის პოლიციისთვის შეტყობინება დასდეს ბრალად და ამის გამო მას შეურაცხყოფა ერთ-ერთმა მასწავლებელმაც მიაყენა, რომელიც, როგორც გაირკვა, ჩხუბში მონაწილე ერთ-ერთი მოსწავლის ბებიაა. ბიჭზე ზეწოლა ორ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა, რის შედეგადაც მას ფსიქიკური პრობლემები შეექმნა.

როდესაც არსებული ვითარების შესახებ დირექტორმა და სკოლის დისციპლინურმა კომიტეტმა შეიტყო, მასწავლებელმა საყვედური მიიღო და კლასს ჩამოშორდა, თუმცა, 11 წლის ბიჭის თანაკლასელების მშობლები ამ მასწავლებლის კლასში დაბრუნებას ითხოვდნენ – 15-დან 14 მოსწავლის მშობელი ხელს აწერს შესაბამის განცხადებას. მშობლები ირწმუნებიან, რომ ის უდანაშაულოა და ბიჭის დედა იტყუება.

მასწავლებელი ბავშვზე ზეწოლას კატეგორიულად უარყოფს, თუმცა, დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების შემდეგ მან კლასი დატოვა. ამის გამო კლასში 14-ვე ბავშვის მშობელი 11 წლის ბიჭს დაუპირისპირდა, ირწმუნებიან, რომ მოზარდი სკოლაში არავის დაუჩაგრავს და ყველაფერი მოგონილია. ამ მიზეზით მშობლებმა ახალი დამრიგებლის კლასიდან წასვლაც მოითხოვეს და, პროტესტის ნიშნად, 25 მარტს, ბავშვები სკოლაში არ გაუშვეს. 26 მარტს მეექვსე კლასის დამრიგებელმა კლასი დატოვა, სანაცვლოდ კი ბავშვები გაკვეთილებზე გამოცხადდნენ. ეს მშობლების მოთხოვნა იყო. მათი მტკიცებით, ბიჭს კლასში არავინ აბულინგებს, დამრიგებელი კი მის მხარეს იჭერდა. ამიტომ ითხოვდნენ მშობლები, რომ დამრიგებელს კლასი დაეტოვებინა, სანაცვლოდ კი ის მასწავლებელი დაებრუნებინათ, რომელსაც 11 წლის ბიჭის ბულინგში ადანაშაულებენ.

„კლასი დავტოვე, მშობლების ძალადობის გამო. მე დავტოვე კლასი ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, იმიტომ რომ მე არ ვარ იმ პედაგოგის მსგავსი, რომელიც ბავშვზე ძალადობდა და არ მინდა, ჩემს ამბიციებს შეეწიროს ბავშვის და სკოლის ინტერესები. უკვე ძალიან დიდი ზეწოლაა ჩემზე. ულტიმატუმი წამომიყენეს, რომ ის პედაგოგი უნდა დამეცვა. ჩვეულებრივად, მშობლებისგან ბულინგის მსხვერპლი ვარ“ – განაცხადა დამრიგებელმა.

მშობლები დამრიგებლის გადაწყვეტილებას იწონებენ და ამბობენ, რომ: *„ის კლასში მხოლოდ ერთი ბავშვის ინტერესებს იცავდა, ამიტომ ვითხოვდით მის წასვლას. რადგან უკვე წავიდა, ბავშვები გაკვეთილებზე ჩვეულებრივ გავუშვით“.*

კლასს უკვე ახალი დამრიგებელი ჰყავს, იგი ამავე კლასს ქართულსაც ასწავლის. ყოფილ დამრიგებელს კი კლასი იმის გამო დაატოვებინეს, რომ იგი ბულინგის მსხვერპლის პოზიციას იცავდა.

მოზარდის დედა ამბობს, რომ ფსიქოლოგის რჩევით ბავშვი სკოლაში დაბრუნდა: *„მითხრა, წავალ სკოლაში, ოღონდ შენც გამომყევიო და გამოვყევი, მე გარეთ ვდგავარ და ის კი გაკვეთილზე ზის. ფსიქოლოგებიც ამას ურჩევდნენ, ეს ყველაფერი უნდა გადალახოს და სკოლაში დაბრუნდეს“* – ამბობს დედა.

სკოლაში შექმნილი ვითარების გამო, ახალციხეში მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები ჩავიდნენ. მათი ფსიქოლოგები კლასის ყველა მოსწავლეს შეხვდნენ და გაესაუბრნენ. *„ახალციხეში იქამდე დავრჩებით, ვიდრე სკოლაში ვითარება არ დასტაბილურდება. ჩვენი მიზანი ვითარების შეფასება და პროცესების მართვაა. ახლა მთავარი ისაა, რომ ჩვეულ გარემოს დაუბრუნდეს კლასი, ამიტომ დისტანციურად ვაკვირდებით პროცესებს. ასევე, სკოლას ჰყავს მანდატური და ჩვენი წასვლის შემდეგაც უწყვეტ რეჟიმში გავცვლით ინფორმაციას“* – განაცხადა მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელმა, თეონა ჩიტიაშვილმა.

პოლიციამ ძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილით დაიწყო, რაც წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ძალადობას გულისხმობს. ახალციხის რაიონული სამმართველოს საგამოძიებო უწყებას დედამ ის მესიჯები უჩვენა, რომელსაც მოზარდს თანაკლასელები დაბულინგების მიზნით სწერდნენ. პოლიცია არკვევს, მართლაც გახდა თუ არა მოზარდის ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზი სკოლაში განხორციელებული ზეწოლა.

საქმეზე მოკვლევა სახალხო დამცველის აპარატმაც დაიწყო.

მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა

საპილოტე პროგრამა

„გამარჯობა რუბი“

საუკეთესო თავგადასავალი პროგრამირების სამყაროში

სექტემბრიდან, საქართველოს 5 სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეები პროგრამირების და კომპიუტერული მეცნიერებების საფუძვლებს ისწავლიან. სწავლება 25 ქვეყანაში აღიარებული წიგნით – „გამარჯობა რუბი“ ნარიმართება.

„გამარჯობა რუბი“ ფინური საბავშვო წიგნების სერიაა, რომელიც მიზნად ისახავს დაწყებითი კლასის ბავშვებში კომპიუტერული მეცნიერებების საწყისების დაუფლებას და კრიტიკული შეფასებისა და ანალიზის უნარის განვითარებას. „თავგადასავალი პროგრამირების სამყაროში“ და „მოგზაურობა კომპიუტერში“ თარგმნილი და გამოცემულია 25 ენაზე, მათ შორის, ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად, იტალიურად, ესტონურად, იაპონურად და ახლა უკვე ქართულადაც. კომპუნიკაციის ეროვნული კომისიის ინფორმაციით, ნიუ-იორკის სკოლებში, დაწყებითი კლასის მოსწავლეები, სწორედ ამ წიგნებით სწავლობენ პროგრამირების საფუძვლებს.

რეფორმის ფარგლებში, საპილოტე რეჟიმში შერჩეული 3 საჯარო და 2 კერძო სკოლის მესამე-მეოთხეკლასელები პროგრამირების საფუძვლებს დაეუფლებიან. საგარეჯოს №2, რუსთავის №4 და თბილისის №71 საჯარო სკოლებში ახალი წიგნით სწავლება კლუბების სახით დაინერგება, ხოლო „ბაქსუდის საერთაშორისო“ და „XXI საუკუნის“ კერძო სკოლებში – სასწავლო გეგმის ფარგლებში.

„გამარჯობა რუბის“ ავტორი 33 წლის ფინელი პროგრამისტი ლინდა ლიუკასია, რომელიც ჟურნალმა „ფორბსმა“, 2018 წელს, ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე ევროპის საუკეთესო 50 ქალს შორის დაასახელა, ხოლო ევროკომისიამ „ფინეთის ციფრული ჩემპიონი“ უწოდა. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, რომელმაც წიგნების ქართულად გამოქვეყნების ლიცენზია ავტორის გადაწყვეტილებით მიიღო, ლინდა ლიუკასი საქართველოში ჩამოიყვანა. მან 60-მდე მასწავლებელსა და ტრენერს მისივე წიგნით სწავლების საგაკვეთილო სქემის შემუშავებაში სერტიფიცირებული ტრენინგი და ვორქშოფი ჩაუტარა.

გახმაურებული სერიის ავტორი ამბობს, რომ წიგნის დაწერის იდეა მისი ბავშვობის სურვილს უკავშირდება – პატარაობისას უნდოდა, რომ ასეთი წიგნით ესწავლა, რადგან ძალიან მოსაწყენი და მექანიკური წიგნებით სწავლობდნენ. *„პატარებს კი გვჭირდებოდა უფრო კრეატიული და სახალისო წიგნით გვესწავლა კოდირება. საერთოდ, პროგრამირება და კოდირება ეს ის სფეროა, სადაც თავის გამოხატვა და ბევრი პრობლემის მოგვარება შეიძლება.*

ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, რომ „გამარჯობა რუბი“ უკვე ქართულ ენაზეც ითარგმნა. ამ ხნის განმავლობაში, წიგნით სწავლების პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამ სერიით მასწავლებლებს მართლაც უკეთ შეუძლიათ, აუხსნან ბავშვებს რა არის პროგრამირება და კომპიუტერული მეცნიერება. იმედი მაქვს, სწორედ ასეთივე კარგ შედეგს მიიღებს ქართული საგანმანათლებლო სივრცეც.“ – განაცხადა ავტორმა.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მედიაწიგნიერების დეპარტამენტის წარმომადგენელი ნინი შენგელია ამბობს, რომ 500-ზე მეტი პროექტი შეისწავლეს, ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, მათ შორის ამერიკული გამოცდილების შესახებაც და მათგან ხუთი პროექტი შეარჩიეს. *„შევეცადეთ, აგვერჩია ყველაზე წარმატებული და აღიარებული პროექტი – „გამარჯობა რუბი“. როგორც ქალბატონმა ლინდამ აღნიშნა, 25 ენაზე ნათარგმნი წიგნი უკვე 15 ქვეყანაში ფუნქციონირებს, როგორც სახელმძღვანელო. გადავწყვიტეთ ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში სწორედ იმ პრაქტიკის დანერგვა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად წარმატებულია და მოზარდებში იმ უნარ-ჩვევებს განავითარებს, რომელიც 21-ე საუკუნის მოქალაქეს აუცილებლად ესაჭიროება.“*

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად, 2019 წელს, მოზარდებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლების ჩართულობით, მედიაწიგნიერების განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, 5 პროექტს განახორციელებს.

სექტემბრიდან კი, განათლების სამინისტროს რეფორმის ფარგლებში შერჩეული სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეები პროგრამირების საფუძვლებს მსოფლიოში აღიარებული წიგნით დაეუფლებიან. იმედია, ფინური საბავშვო სერია მართლაც საუკეთესო თავგადასავალი გახდება პროგრამირების სამყაროში, როგორზეც ავტორი ბავშვობაში ოცნებობდა.

ლალი ჯელაძე

ბავშვთა უფლებები

ქართული აღზრდის ძალადობრივი მეთოდები

ძალადობა სახლში, ძალადობა სკოლაში, ძალადობა ქუჩაში... უმწეო პატარა კი ისევ მსხვერპლია

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობა კანონით ისჯება, ბევრ ოჯახში ბავშვის ცემა ჯერ კიდევ ნორმად მიიჩნევა. იუნისეფის 2013 წლის კლევების თანახმად, მოსახლეობის 60 პროცენტის აზრით, ბავშვის აღზრდისას ძალადობრივი მეთოდები უფრო ამართლებს. ბოლოდროინდელმა უმძიმესმა, ტრაგიკულმა ფაქტებმა კი სრულიად შიშვლად წარმოაჩინა საქართველოში არსებული მდგომარეობა. ცოტა ხნის წინ, თბილისში, 4 წლის გოგონა, დიდი ალბათობით, დედის მიერ ძალადობის მსხვერპლი გახდა.

უფროსების მხრიდან არასრულწლოვანთა დასჯა ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და დაფარული ფორმაა, რადგან მოძალადე მშობლებს მომხდარის გახმაურება არ აწყობთ, ბავშვებს კი ამაზე ხმამაღლა საუბრის ეშინიათ. სამწუხაროდ, 21-ე საუკუნეშიც ჯერ კიდევ მრავლად შემორჩნენ მშობლები, რომლებიც შვილებზე ფიზიკურად ძალადობენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ძალადობის ისეთ ფორმებზე, რომელსაც საერთოდაც არ განიხილავენ ძალადობად – მაგალითად, ფსიქოლოგიურ ძალადობას, ბავშვის აღზრდის უგულებელყოფას და სულაც არ ანაღვლებთ შედეგები, რომელსაც მომავალში შვილის მიერ განხორციელებული ძალადობითვე იმკიან. *„დატყვევებული უფრო საშიშია, ვიდრე ნებაზე გაშვებული“* – ოთარ ჭილაძის ეს შესანიშნავი ფრაზა ზუსტად გამოხატავს ჩვენს რეალობაში დამკვიდრებული ძალადობის უკუკავშირს. ცოტა ხნის წინ მომხდარი შემზარავი ფაქტი – დედის ცემით გარდაცვლილი ოთხი წლის გოგონა – სამწუხაროდ, არც პირველია და, სავარაუდოდ, არც ბოლო. ძალადობა სახლში, ძალადობა სკოლაში, ძალადობა ქუჩაში... უმწეო პატარა კი ისევ მსხვერპლია, ვისაც გაუმართლებს და „ზომიერად მოხვდება“, გადარჩება, თუმცა, როგორია გადარჩენის შემდეგ მისი ცხოვრება? ვინმე ფიქრობს ამაზე? ძალადობაგამოვლილი ბავშვები, უმეტეს შემთხვევაში, ისევ ძალადობის ხაზს აგრძელებენ – თანატოლების მიმართ, ან საკუთარი შვილების მიმართ, ან უბრალოდ, ფსიქიკური ტრავმით დააბიჯებენ ჩვენ გვერდით და, ვინ იცის, ფიქრობენ ჩემზე ან შენზე, ნეტავ, მას ბავშვობაში სცემდნენ ან სჯიდნენ?

საზოგადოება კი, როგორც ყოველთვის, ვერც ამჩნევს რატომ არის დათრგუნული ან გულჩათხრობილი მის გვერდით მყოფი ბავშვი, მის მდგომარეობას არც მასწავლებელი იძიებს, რომელიც, ასევე, შეიძლება მოძალადეა და მისთვის ეს არაფერს ნიშნავს, რადგან ფიქრობს, რომ მკაცრად აღზრდა პროფესიული ვალდებულებაა.

მოძალადეა ამის შემყურე საზოგადოებაც, თუკი ასეთ შემზარავ ფაქტებზე რეაგირებას არ ახდენს იმ მიზეზით, რომ ეს მისი საქმე არ არის, მოძალადეა სახელმწიფოც, რომელიც შეეცდება მშობლის ან მასწავლებლის ძალადობის მიჩუმათებას, მოძალადეა თითოეული ჩვენგანი, ვინც ამაზე დუმს!

„თავისუფლება, რომელსაც ჩემ შეგირდს ვაძლევ, სავსებით უნაზღაურებს მას იმ მცირეოდენ უხერხულობას, რომლის შესაძლებლობა წინასწარ არ აღვკვეთე, ვხედავ, რამდენიმე ბიჭი თოვლში თამაშობს: გალურჯებულან, გაყინულან, თითებს ძლივს ანძრევენ. განა არ შეუძლიათ დაანებონ თავი თამაშს და წავიდნენ გასათბობად? მაგრამ ამას არ შვრებიან; რომ ძალა დაეტანებინა ვინმეს, ისინი უფრო მწვავედ იგრძნობდნენ ამ ძალდატანების სუსხს, ვიდრე სიცივისას. მაშ, რას უჩივით? განა მე ვაუბედურებ თქვენს ბავშვს, როდესაც არ ვაცილებ მას ისეთ უხერხულობას, რომლის ატანა სურს? მას ბედნიერებას ვანიჭებ ამთავითვე, რადგან თავისუფლებას ვაძლევ; მას ბედნიერებას ვუმზადებ მომავალშიც, რადგან ვაწვდი იარაღს იმ გაჭირვების წინააღმდეგ, რომლის ატანა აუცილებელი იქნება. მას რომ ასარჩევი ჰქონდეს, თქვენი შეგირდი იყოს თუ ჩემი, ნუთუ გგონიათ, რომ იგი ერთი წუთით მაინც შეყოყმანდებოდა?“ – ჟან ჟაკ რუსო („ემილი ანუ აღზრდის შესახებ“).

რატომ ძალადობს მშობელი შვილზე?

ამ კითხვას მხოლოდ ერთი ახსნა აქვს – მოძალადე მშობელი სტერეოტიპის ტყვეობაშია – „ბავშვი ჩემია და რასაც მინდა, იმას ვუზამ“. არადა, არც კი ფიქრობს, როგორ საბედისწერო შეცდომას უშვებს და ავიწყდება, რომ ბავშვი ნივთი არ არის, რომ ვინმეს საკუთრება გახდეს, ის ჩვეულებრივი ადამიანია ყველა იმ უფლებებით, რაც უფროსებს გვაქვს. ხშირად მშობელი თავს იმითაც იმართლებს, რომ ცუდი ზნისაა და არაფერს უჯერებს.

„თქვენ მიმითითებთ ბავშვის კაპრიზებზე, არა ხართ მართალი: ბავშვის კაპრიზი არასოდეს ბუნების ბრალი არ არის, არამედ ცუდი დისციპლინის შედეგია – ბავშვი ან მორჩილებაში იყო, ან ბატონობდა. მე კი ათასჯერ მითქვამს, რომ არც ერთი უნდა იყოს და არც მეორე. თქვენს შეგირდს მხოლოდ ის კაპრიზები ექნება, რასაც ჩაუნერგავთ მას და სამართლიანიც იქნება, რომ თქვენი შეცდომები თქვენვე მოგიბრუნდეთ. მაშ, როგორ ვუშველოთ საქმეს, მკითხავთ თქვენ – ველა მაინც შეიძლება და ამისათვის უკეთესი მიდგომა და მეტი მოთმინებაა საჭირო“ – ჟან ჟაკ რუსო („ემილი ანუ აღზრდის შესახებ“).

მე ვიცნობ ძალადობაგამოვლილ ბავშვებს, თუნდაც, ჩემ გვერდით რომ იზრდებოდნენ, დათრგუნულებს და შურისძიებით შეპყრობილებს – „გავიზრდები და მამას აუცილებლად გადავუხდი სამაგიეროს“. ასე გაუჩნდა ჩემი ბავშვობის ერთ-ერთ მეგობარს, უსამართლობის განცდასთან ერთად, მამისადმი შურისძიების წყურვილი და მას „სამაგიერო“ იმით გადაუხადა, რომ ცუდი ცხოვრების გზას დაადგა. მართალია, მშობლებს დანაპირები შეუსრულა, მაგრამ საბოლოოდ შურისძიებას საკუთარი ცხოვრება შესწირა – ძალადობის მსხვერპლმა ცუდი საქციელით გული ატკინა მშობლებს, რომლებიც ბავშვობაში სცემდნენ. მეტიც, მამის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულის გამო, „საზოგადოებისგან იცავდნენ“ და მეგობრებთან ერთად არსად უშვებდნენ, არც მასთან მეგობრობდნენ. ყველაფერმა კი სკოლის დამთავრებისთანავე ამოხეთქა – შეუერთდა სამყაროს, რომელსაც საზოგადოება უფრთხის. ამის გამო, მას სოციუმმა ზურგი კიდევ უფრო მეტად აქცია.

მოძალადე წარმოშობს მოძალადეს და რატომ გვიკვირს, რომ ასე მომძლავრდა ბულინგი? უფროსებისგან დაჩაგრული, მერე თვითონ ცდილობს მასზე სუსტი დაჩაგროს ან გულში ჩადებული შურისძიება დანაშაულით დაასრულოს. ხშირად ძალადობის მსხვერპლი ამას მხოლოდ ფიზიკური ძალადობით კი არა, სხვა ფორმებითაც გამოხატავს – ართმევს მასზე სუსტს (რისი წართმევაც შეუძლია), ძალადობს ფსიქოლოგიურად, დასცინის და მუდმივად აქვს იმის მცდელობა, თავი სხვაზე უპირატესად წარმოაჩინოს, თუნდაც, ეს მეგობრის, ამხანაგის ან თანაკლასელის დამცირების ხარჯზე მოხდეს. ხან კი ძალადობაგამოვლილი ბავშვები იმდენად ითრგუნებიან, რომ მთელი ცხოვრება ურჩევნიათ იყვნენ სხვისი ბრძანების შემსრულებლები და უინიციატივოები. უმეტეს შემთხვევაში, მოძალადე მშობლების შვილები თვითონაც მოძალადეებად ყალიბდებიან!

რას განიცდიან ბავშვები, როცა მათზე ძალადობენ და ვინ არის პასუხისმგებელი?

„მე ვარ ვარდი, ტრიალ მინდორზე მარტო ამოვედი და თუ ვინმე ხელს მახლებს, ვშეშდები, ამიტომაც ეკლები გამომეზარდა. ზოგჯერ ჩემი ეკლები მე თვითონ მკაწრავს და სისხლი მდის. მინდა დიდი გავიზარდო, ეკლებს დავშორდე, ეკლები კი გაძლიერდნენ, ვეღარავინ შემახებს ხელს. მინდა ვუყურო ცას და დავშორდე მიწას.“ – ეს ძალადობის მსხვერპლი 9 წლის გოგონას სავარჯიშოა, რომელსაც ერთ-ერთ ფსიქოლოგთან აკეთებს და იდენტიფიცირებას ახდენს ვარდთან. ამ ერთი წინადადებით ძალიან ბევრი რამ არის ნათქვამი იმ სიმპტომებზე, რომელიც ძალადობაგამოვლილ ბავშვებს აქვთ.

რა არის გამოსავალი და ვის ეკისრება პასუხისმგებლობა? უფლებადამცველი **ანა არგანაშვილი,** ამ საკითხზე საუბრისას, ამბობს, რომ პირველ რიგში, თუ სახელმწიფომ არ აღიარა ხარვეზი, არაფერი გვეშველება. *„ჩემთვის გამოსავალია, რომ ბავშვთა უფლებებს გაუჩნდეს ბევრი გულშემატკივარი, ამიტომ თითოეული ადამიანი, ვინც ისმენს ამას, უნდა გრძნობდეს, რომ შეუძლია ბავშვების დაცვა და უნდა მოსთხოვოს სახელმწიფოს. რაც უფრო მეტს მოვითხოვთ, სახელმწიფო იძულებული გახდება, აღიაროს შეცდომები. ამის ძალა კი, ინდივიდუალურად, ჩვენშია. დასანანია, რომ ბავშვებს სურთ სწრაფად გაიზარდონ, რომ თავი დააღწიონ ამ პრობლემებს – თავი დააღწიონ ტრავმულ გამოცდილებებს. იქნებ შეგვიძლია რამე გავაკეთოთ, რომ მათ კარგი ბავშვობა ჰქონდეთ.“*

უფლებადამცველის აზრით, ისიც პრობლემაა, რას და რა ეტაპზე აღიქვამს (თუ აღიქვამს!) საზოგადოება ბავშვის მიმართ ძალადობად და როდის რეაგირებს; ან რამდენად აზღვევს ბავშვს შემდგომი ძალადობისგან ეს რეაგირება. ანა არგანაშვილი აღნიშნავს, რომ თავად სისტემის წარმომადგენლები (სხვადასხვა მიზეზით, როგორც ზედა, ისე ქვედა რგოლი) არ საუბრობენ იმ სერიოზულ პრობლემებზე, ბარიერებსა და ხარვეზებზე, რაც მათ საქმიანობაში იკვეთება.

სოციმუშაკი **ქეთი კალანდაძე** მიიჩნევს, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად, პირველ რიგში, სახელმწიფომ პროფესიული კადრის მნიშვნელობა და მისი შესაბამისი ფუნქციონირებისთვის ხელშეწყობა უნდა გაიაზროს – რომ გაჩნდნენ სპეციალისტები და სერვისები, რომლებიც პრევენციაზეც იმუშავებენ, რეაგირებაზეც და შემდგომ რეაბილიტაციაზეც. *„იურისტი და ფსიქოლოგი უფრო ინდივიდუალურ დონეზე მუშაობს, სოციალური მუშაკის როლი, მათთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ სოციალური სამსახური უყურებს არა მხოლოდ ინდივიდს, არამედ მის გარშემო არსებულ სისტემას – სკოლას, ოჯახს, ნათესავს, სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და იურიდიულ საჭიროებას. ეს არის პროფესია, რომელიც უნდა ხედავდეს ადამიანს, როგორც სისტემის ნაწილს და რეალურად შეეძლოს მისი ფუნქციონირების გაუმჯობესება არა მხოლოდ ინდივიდუალურად, არამედ გარემოს გაუმჯობესებით. რასაკვირველია, მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური თერაპიის დროული მიღება, თუმცა, ფსიქოლოგი ვერ მოახდენს, მაგალითად, სხვა სისტემებთან ეფექტურ თანამშრომლობას, ამისთვის აუცილებლად დასჭირდება სხვა პროფესიის წარმომადგენლების ჩართვა – იურისტის, სოციალური მუშაკის, ექიმის, ოკუპაციური თერაპევტის და ა.შ. სწორედ ამ შემადგენლობას ვეძახით მულტიგუნდს, რომელიც რეალურად, სხვადასხვა კუთხით, ხედავს სირთულეებს, განსაკუთრებით კი იმ ბავშვების, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი არიან. მათ უფრო მეტი საჭიროება აქვთ ხოლმე, ვიდრე ბავშვს, რომელიც არ არის ძალადობის მსხვერპლი.“* – ამბობს ქეთი კალანდაძე.

სოციალური მუშაკი იმაზეც საუბრობს, რომ საქართველოში ამ პროფესიის ადამიანებს ფართო გამოცდილება არ აქვთ, რადგან თვითონ პროფესიაც ახალია და 18 წელს ითვლის, აკადემიურ სფეროში 2007 წელს დაარსდა, შესაბამისად, ახლა ვითარდება. ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, სწორედ სოციალური სააგენტოა მეურვეობის, მზრუნველობის ერთადერთი ორგანო, რომელსაც შეუძლია ბავშვს მეურვეობა გაუწიოს, თუკი მშობელი არ ასრულებს თავის ვალდებულებას, დაიცვას მისი საუკეთესო ინტერესები. თუ როგორ მუშაობს ეს რგოლი, ამის შესახებ ქეთი კალანდაძე აცხადებს, რომ საუკეთესო შემთხვევაში, სოციალური მუშაკი, პირველ რიგში, შეაფასებს რისკებს და საჭიროებებს, ხოლო შემდეგ, მულტიგუნდის სპეციალისტებთან ერთად, დაგეგმავს ინტერვენციებს. *„თუმცა, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, გეტყვით, რომ სოციალურ მუშაკს არ ჰყავს მულტიგუნდი. რეალურად გამოდის, რომ მას უწევს მარტო შეაფასოს და განახორციელოს, რასაც დაგეგმავს. წარმოიდგინეთ, ოჯახს რამდენი რამ შეიძლება დასჭირდეს ძალადობის პრობლემის მოსაგვარებლად. ყველა ბავშვს ხომ ვერ გამოვიყვანთ ოჯახიდან? მისი საუკეთესო ინტერესია ოჯახში დარჩეს და თვითონ ოჯახი გავაძლიეროთ. თუ ბავშვს ფსიქოლოგიური მომსახურება დასჭირდება, სახელმწიფოს არანაირი თერაპიული მომსახურება არ გააჩნია, მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ ყველაზე მწვავე შემთხვევებზე მუშაობა. აქედან გამომდინარე, ჩათვალეთ, რომ 100-დან მხოლოდ 2 ბავშვი თუ მიიღებს ამ სერვისს. კიდევ უარესი სტატისტიკაც რომ წარმოვიდგინოთ, ის უფრო რეალისტური იქნება – შეიძლება 100-დან მხოლოდ ერთს დავეხმაროთ. ამიტომ, ხშირად ვამბობ, რომ სოციალურ მუშაკს სახელმწიფო შიშველი ხელებით ამუშავებს. წარმოიდგინეთ, როგორი შედეგი შეიძლება გვქონდეს?“*

ქეთი კალანდაძე სერიოზულ პრობლემას ხედავს პრევენციის თვალსაზრისითაც, რადგან ძალადობის ფაქტის თავიდან ასაშორებლად, ზოგჯერ, აუცილებელია ბავშვის ალტერნატიულ მომსახურებაში განთავსება – ძირითადად, ორი სახის მომსახურება გვაქვს – მინდობით აღზრდა და მცირე საოჯახო ტიპის სახლები. *„საქართველოში ამის სერიოზული დეფიციტია, რადგან მინდობით აღმზრდელები, ფაქტობრივად, თბილისში აღარ გვყავს, რეგიონებში კანტიკუნტად შემორჩნენ. დღეს 4 ბავშვი რომ დარჩეს, თუნდაც, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, შეიძლება სახელმწიფომ ისინი ვერსად განათავსოს და სოცმუშაკს მათი სახლში წაყვანა მოუწიოს.“*

საქართველოს მასშტაბით, 240 სოციალური მუშაკი და 11 ფსიქოლოგია, სოციალური მომსახურების სააგენტოს კი, თბილისის მასშტაბით, მხოლოდ ერთი ფსიქოლოგი ჰყავს. 2010 წელს, თუნდაც ოთხი მიმართულებით კარგად რომ ემუშავა სოციალურ მუშაკს, მათი რაოდენობა 400 მაინც უნდა ყოფილიყო. ამჟამად სოციალური მუშაკი 28 მიმართულებით მუშაობს და მათი რაოდენობა მხოლოდ 240-ია. მარტივი არითმეტიკაა – რა ხარისხით კეთდება საქმე. *„ძალიან დიდი მიღწევაა, რომ წელს სახელმწიფომაც აღიარა ეს პრობლემა, მანამდე მხოლოდ კულისებში განვიხილავდით. ამიტომ, ეს ფაქტი 2019 წლის მიგნებად შეიძლება ჩავთვალოთ“* – ამბობს ქეთი კალანდაძე და იმედს გამოთქვამს, რომ ამ აღიარებას სერიოზული ცვლილებები მოჰყვება.

რას წარმოშობს ძალადობა?

ფსიქოლოგი **მაია ცირამუა** ამბობს, რომ, პირველ რიგში, ძალადობრივი გამოცდილება, ხშირ შემთხვევაში, ხდება წინაპირობა იმისა, რომ ბავშვმა ამ ძალადობის მანიფესტირება თავისზე უფრო სუსტ ადამიანთან დაიწყოს, ანუ თვითონ გახდეს მოძალადე. მეორე – ძალიან დიდი ალბათობით, ის მუდმივად რჩება მსხვერპლის როლში და ყოველთვის, ყველა ვითარებაში მსხვერპლია. ამის გარდა, ძალადობრივი გამოცდილება ფსიქიკური ჯანმრთელობის ძალიან სერიოზულ პრობლემებთან არის კავშირში – შფოთვითი აშლილობები, დეპრესია, სუიციდი. ძალადობა ძალიან სერიოზულ და ღრმა კვალს ტოვებს ადამიანის ფსიქიკაზე.

მისი აზრით, ძალადობის გამოძახილია ჩვენს რეალობაში მოზარდებში ასე მომძლავრებული ბულინგი და ამ პრობლემასთან ბრძოლის ყველაზე მთავარ ხელისშემშლელ პირობად იმ კრიმინალური სუბკულტურის ზეგავლენას ასახელებს, რომელიც მაქსიმალურად გაზრდილია ჩვენს საზოგადოებაში. *„სწორედ აქედან არის მუშაობა დასაწყები, ბავშვს უნდა შეეძლოს, ჩაგვრის შესახებ ვინმეს მოუყვეს და, რაც მთავარია, უნდა არსებობდეს ისეთი ადამიანი, რომელიც მას მოუსმენს, მოსმენა კი, აუცილებლად ეფექტის მომტანი უნდა გახდეს. ვიდრე ასე არ იქნება, პრობლემა ვერ მოგვარდება. მანამ კი, ყოველდღე, ანგელოზები დაფარფატებენ ბავშვების თავზე და იცავენ მათ, რადგან ჩვენ ვერც კანონით და ვერც რეგულაციებით ვერ უზრუნველვყოფთ მათ დაცვას.“*

შექმნილი მძიმე მოცემულობიდან გამომდინარე, ანა არგანაშვილი ყველას ურჩევს, ძალადობის ფაქტის შემთხვევაში, დარეკონ 1505-ზე ან 112-ზე. მშობლებს კი ემილის აღზრდის მეთოდიდან კიდევ ერთხელ შევახსენებ – ბავშვების აღზრდისას ნუ ვიქნებით ზედმეტად თავდაჯერებულები, რომ კარგად ვიცნობთ მათ უფლებებს და ნუ ვაიძულებთ იმის კეთებას, რაც ჩვენ გვსურს, მოვუსმინოთ რა სურთ მათ. *„თუ სამოცგრადუსიანი კუთხე მაქვს გასაზომი, მე რკალს კი არ მოვხაზავ ამ კუთხის წვერიდან, არამედ სრულ წრეს. ბავშვებთან როცა გვაქვს საქმე, ნაგულისხმევი არასოდეს არაფერი არ უნდა იყოს.“*

ლალი ჯელაძე

9 აპრილის კოშმარული ღამე

გურამ დოჩანაშვილის „ორნი აქა, იქა“

არის ტკივილი, რომელსაც დრო ვერ კურნავს, ვერ შველის... ყოველი წლის 9 აპრილი ავადსახსენებელი 1989 წლის 9 აპრილთან მაბრუნებს, იმ კოშმარულ ღამესთან, უმოწყალოდ დახოცილი გოგო-ბიჭების გმინვასთან და ტკივილთან რომ იგივდება. იმ საღამოს მეც, ისევე როგორც ყველა ჩემხელა, მიტინგზე ვიყავი, თუმცა გვიანობამდე აღარ (ვეღარ) დავრჩი, სახლში თვეების შვილი მელოდებოდა... უცნაური ლანდები დაცურავდნენ იმ საღამოს რუსთაველის პროსპექტზე. შიში და სიამაყე ერთად არეულიყო, ჰაერი დამუხტულიყო გაურკვეველი მომავლის მოლოდინით. მიუხედავად რუსული „სიყვარულის“ გამოცდილებისა, არ გვეგონა, გავეშებული დესანტი ალესილი ბარ-ნიჩბით თუ დაერეოდა ხელში სანთელანთებულ, მომღიმარ ახალგაზრდობას. იყო გაფრთხილება, მოწოდება, თხოვნა – დავშლილიყავით, თუმცა ისეთი დიდი იყო თავისუფლების მოპოვების სურვილი, რომ იქ შეკრებილი ხალხის სახლში გაშვება შეუძლებელი გახდა. თბილისში მიწა ტიროდა, ცა იცრემლებოდა, ჰაერი დამძიმებულიყო...

დილით ადრე ჩემმა მეზობელმა, ნათელა დეიდამ, ყვირილით გაგვაღვიძა სამეზობლო. იდგა შუა ეზოში და აცრემლებული თვალებით, ყელში ბურთგაჩხერილი არეულად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ყვებოდა, როგორ შემოვიდნენ რუსული ტანკები, როგორ დაალაჯებდნენ ჭუჭყიანი ჩექმებით ჩვენს ქუჩებში, სისხლმოწყურებულნი როგორ დაერივნენ ამღერებულ ადამიანებს და მთვარის შუქზე „თავმოწონებით“ როგორ ალაპლაპებდნენ ალესილ ნიჩბებსა და ბარებს... ვიდექით ტირიფად ქცეულნი, გაქვავებულები, ენაჩავარდნილები, შეურაცხყოფილები, გათელილები... ამდენი შვილმკვდარი დედის ცრემლს წაელეკა ირგვლივ ყველაფერი. რა უნდა გვეთქვა მათთვის, ჩვენთვის, ხვალინდელი დღისთვის?!

1989 წლის „ვერგათენებული“ 9 აპრილი ყველა ქართველის ტკივილი და მოუშუშებელი იარაა. თითოეული მსხვერპლი ამ ღამისა ჩვენი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი იყო. იმ ღამეს ბოროტების დასათრგუნად კიდევ ერთხელ გაეკრა უფალი ჯვარზე.

ოცდაათმა წელმა გაიარა, თუმცა უცრემლოდ ძნელია იმ ღამის გახსენება. მივდივარ ჩემს პატარა მეგობრებთან სკოლაში; მინდა, მოვუყვე, როგორ გაგვისწორდნენ უდანაშაულო ახალგაზრდებს, მაგრამ განა სიტყვებით გადმოვცემ იმ ტკივილს, რომელიც დღემდე მოსვენებას არ მაძლევს?! ჰოდა გადავწყვიტე! ჩემ მაგივრად ლიტერატურას მოეთხრო მათთვის ჩემი თაობის სისხლიანი ისტორია. ჩაირთო წარმოსახვის მანქანა... გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „ორნი აქა, იქა“ ბავშვებისთვის საუკეთესო მთხრობელი აღმოჩნდა. კითხვისას ისინიც ჩემთან ერთად ტიროდნენ, ბრაზობდნენ, სიამაყისგან წელში იმართებოდნენ. უთანაგრძნობდნენ გარდაცვლილის მშობლებს, მეგობრებს, სრულიად საქართველოს. ამ მოთხრობამ ბავშვები დააფიქრა ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურ ცხოვრებაზე, მთავარსა და მეორეხარისხოვან ფასეულობებზე, სიყვარულსა და სიძულვილზე, მიტევების, დიდსულოვნების მნიშვნელობასა და მარადიულ ცხოვრებაზე.

სათაურით იკვეთება ორი ადამიანის – მოკლული გოგონასა და მკვლელი სტასიკის – ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრება. წუთისოფელი ჩვენი გამოსაცდელი ადგილია მარადიულ ცხოვრებაში ადგილის განსასაზღვრად და დასამკვიდრებლად. ეს ქვეყანა ათასგვარი საცდუნებლითაა სავსე, ზეციურ სამყოფელში კი ყველაფერი საკვირველი და უცხოა. იქ „რაღაც იმდენად მეტია, რომ არნახული სილამაზეც აღარ ეთქმის, გაისმის ერთადერთი სამხმოვანება ისეთი მარადიულად წელადი და მომცველი, რომ ვიღას და რაღას არ ჩაიტევს“. ამქვეყნად ხშირია გაავებული, სიმწრით დაღმეჭილი სახეები, რომლებიც „უსასრულობამდე უკეთეს ძეს კაცისას“ სდევნიან და ეშმაკებშეჩენილნი გაჰკივიან: „ჯვარს აცუ, ჯვარს აცუ ეგე!“ გაბალღამებულებმა, ბელზებელშეჩენილებმა „ეკალთაგან შეთხზული გვირგვინი“ დაადგეს თავზე მხსნელს, ჯვარზე გაკრულს მკერდში აძგერეს მახვილი. იმ ღამეს გრაალი აივსო მაცხოვრის უცოდველი სისხლით...

იცოდა დიდმა მარიამმა ადამიანთა მოურჩენელი სენის (შურის) შესახებ, ტკივილის ფასიც იცოდა დიდმა ქალბატონმა, ...ამიტომაც უგვანის ხელით, ამქვეყნიურ სიცოცხლეშეწყვეტილი ფარატინა გოგონა მზე-მარიამს მიჰგვარეს. *„დიდმა მარიამმა, მზე-მარიამმა მიიახლოვა და გულში ჩაიკრა, ჭრილობაზე აკოცა, გაათბო, ეფერა, ეფერა, როგორ მშვიდად და წყნარად, ფერხთით დაისვა მერე“.*

მოთხრობის ერთი პერსონაჟი სამშობლოს კეთილდღეობისთვის იჯდა ყუჩად, ხელში სანთელანთებული, მეორე კი ბარმომარჯვებული დევნიდა ქვეყნის მოსიყვარულე შვილებს. თვით სატანა იბრძოდა სტასიკის უბადრუკი ხელით.

მერე კი... სტასიკი „ტფილისში“ ჩატარებული ოპერაციის გამო კურორტ „ცკალტუბოში“ გაუშვეს დასასვენებლად. მის დანახვაზე ადამიანები შინაგანად რაღაც უსიამოვნოს გრძნობდნენ. ინგლისელმა მეცნიერმა ბაქსტერმა ცდა ჩაატარა ორ ყვავილზე: ერთ-ერთი მცენარე ვიღაც უღმერთო კაცს დაუნდობლად ააჩეხინა. მომდევნო დღეს რამდენიმე ადამიანი შევიდა ოთახში, სადაც ცოცხალი მცენარე იდო. ყვავილს არც ერთ ადამიანზე არ ჰქონია რეაგირება, ხოლო როდესაც ის ამჩეხავი შეუშვეს, ხელსაწყო, რომელზეც ეს ყვავილი იყო შეერთებული, ლამის ახტუნავებულა.

ბაქსტერის ცდა მცენარეებზე მოთხრობის ერთ-ერთ პერსონაჟს (მონადირეს) მოკლედ წაუკითხავს კალენდარში და გულში ჩარჩენია. ალბათ ამიტომაც ფიქრობდა, რომ „ცკალტუბოში“ სტასიკი ვისაც ჩაუვლიდა, ის რაღაც უსიამოვნოსა და საშიშს იგრძნობდა. იქნებ ამიტომაც სტასიკის დამნახველი *„მზეზე ჩაყვინთული ბერიკაცები შეიშმუშნენ, გოგონა და ბიჭი, ერთმანეთს თვალებდახუჭული რომ ჰკოცნიდნენ, შეკრთნენ, ბურთს დადევნებულმა ბავშვმა რაღაცას წამოჰკრა ფეხი“.*

ქართველთმკვლელი სტასიკი გოგონას სამშობლოში *„აბაზანებს ხალისით იღებდა, ყოველი შემთხვევისთვის, ანალიზებზე ბევრმხრივ წარსდგა, ლექციებს ესწრებოდა საერთაშორისო თემებზე... უფასოდ ჭამდა, უფასოდ სვამდა, ვისას?“* ამ რიტორიკული შეკითხვის პასუხი სტასიკმა არც იცოდა და არც აინტერესებდა.

განვლო ხანმა და ბაროსანი წარსდგა იმ ქვეყნად. უფალმა პატარა ქართველს მისცა უფლება, მსჯავრი გამოეტანა თავისი მკვლელისთვის. თუკი სტასიკმა აქ მიწიერი სიცოცხლე წაართვა გოგონას, იქ, მარადიულში, წმინდა ნინოს ჯვრით მადლმოსილმა ღვთისშვილმა მარადიული სიკვდილისგან იხსნა ჯალათი სტასიკი.

იმ ღამეს ქართველებმა არავის დაუჯერეს, თვით უწმინდესსა და უნატარესსაც კი. ძალიან ხომ არ ავჩქარდით ქართველები?! იქნებ სჯობდა ცოტა ხნით მაიც დავჯერებოდით ახლად შეძენილ სასულიერო აკადემიას, საწყობებად გადაკეთებული ეკლესიების ეკლესიებად დაბრუნებას, დაბრუნებულ რობაქიძეს, სამმაგი სეიფიდან გამოღებულ „მონანიებას“, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სწორად ხსენებას და კიდევ რაღაც-რაღაცებს! არ შეგვარჩინეს ასე უცებ განზე განდგომა.

ქვეყნის თავისუფლებას, წინაპრებს, სიმართლეს იცავდა გოგონა უამრავ ქართველთან ერთად. სანთელანთებულნი, ლოცვად ქცეულნი იდგნენ და ელოდნენ სიკეთეს და არა – ბოროტებას, სინათლეს და არა – სიბნელეს, მაგრამ სატანის მანქანებით სულწამხდარ არსებებს სისხლი სწყუროდათ ვამპირებივით.

სამოთხეში თავგატეხილ გოგონას ღვთისმშობელმა თბილად შეახო ხელი, სტასიკზე გაახსენა, შენი მკვლელია და შენვე გადაწყვიტე მისი ბედიო...

„მე არ ველოდი“ – მოულოდნელად მორცხვად ეტყვის გოგონა დედაღვთისას. ან რა იცოდა, რომ იგორ როდიონოვი (მთავარი „პრიკაზჩიკი“), თავისი სისასტიკით, არ ჩამოუვარდებოდა წყეულ ჰეროდეს, რომელმაც უდანაშაულო ბეთლემელი ყრმები ერთ ღამეს გააჟლეტინა თავის დამქაშებს. როგორც ის ყრმები იყვნენ ქრისტეს პირველი მოწამენი, საქართველოს თავისუფლებისთვის დაღუპული ბავშვებიც ზეციური მხედრობის წევრები გახდნენ. ვფიქრობ, ავტორი როდიონოვს იროდის იმიტომ არქმევს, რომ ის, თავისი სისასტიკით, ჰეროდეს გაუტოლდეს. სახელთა შეზავებითა და (როდიონოვი-ჰეროდე) „საშუალო არითმეტიკულით“ იროდი დაერქვა, რათა მათი სიმხეცე უფრო თვალსაჩინო გამხდარიყო.

სამსჯავროს წინაშე წარმდგარი დაბნეული სტასიკი ცდილობს დანაშაულის აცილებას და დედაღვთისას მთავარი ბრალდებულისკენ მიუთითებს: „მაგათ ერთმანეთი დავკაში გადათელეს, ჩემი თუ არ გჯერათ, თვით ჩემზე ბევრად უფროსს, თვით იროდს ჰკითხეთ!“ როდიონოვს როგორ ჰკითხავდნენ? იროდი-ჰეროდე, გეჰენიის სამუდამო ბინადარი, *„აღუღებული კუპრის ტბაში იხარშებოდა, გოგონასათვის ყოვლად უცნობ ადგილას, სადღაც, და, შავ ორთქლ-ადენილი, გიზგიზა ცეცხლით შემოგარენ-ახტუნავებული, რახსად (რახსი: შავ-წითელი) ფართხალებდა, მწარე ღრიალით იხვეწებოდა: „მომკალით! გამათავეთ!“*

საინტერესოა მღვიმის ეპიზოდი. გოგონა ხედავს უბედურებითა და ვაებით სავსე მღვიმეს, რომელსაც კედლებზე სუფთა და თან ცხელი წვეთები ჩამოსდის. როდესაც მოეფერება მღვიმის კედლებს, იგრძნობს რაღაც მშობლიურს, თითქოს ყოველი წვეთი ეფერება და მალამოსავით შეეჟღინთება. ჩვენი განმანათლებელი (წმ. ნინო) გოგონას აუხსნის, ეს წვეთები, მღვიმიდან ჩამომდინარე, დედაშენის ცრემლებიაო. გამოქვაბულის იატაკზე დაბზარული ქვა გდია. გოგონა მას ხელისგულით მოეფერება და უცაბედად თავის ცრემლს დააწვეთებს, რითაც ქვას უარესად გაბზარავს. გოგონას კითვას: *„დეიდა წმინდა ნინო, ასე ძალიან დაბზარული რაა?“* ასეთი პასუხი გაეცემა: *„ეგ მამაშენის გულია, შვილო“.* გოგონა ამ მღვიმეს ხშირად ნახულობდა, ეფერებოდა... აქ კი ბავშვის მშობლებს უსასრულობამდე ენატრებოდათ თავიანთი შვილი.

ზეცაში გოგონას უფრთხილდებოდა ყველა: დიადი სამხმოვანება, მზე-მარიამი, წმინდა ნინო... უფალმა მხოლოდ ლამაზი სანახაობისთვის გაიმეტა გოგონას თვალები. ერთხელ, როდესაც წმინდა ნინოსა და გოგონას შორის გაიმართა დიალოგი, რომელიც ქართველთა წარსულს ეხებოდა, კაბადოკიელმა ქალწულმა უთხრა პატარა ქართველს, რომ მოღალატე ქართველთა დასანახად უფალს შეეცოდე, შენ მხოლოდ სიკეთის დასანახავად ემეტები ღმერთსო (არადა, ერთხელ გოგონამ ორჯონიკიძის ძეგლს პომიდორი ესროლა. კიდევ კარგი, ის ჯოჯოხეთის მოციქული ვერ იხილა იქ).

საოცარი სიყვარულითაა დახატული სცენა, რომელშიც ქართული გენი ქართულ ენაშია განსხეულებული. ულამაზესი ხე სამოთხისა, რომელსაც ქართული ენა ჰქვია, საცხოვრისია შოთასი, ილია მართლისა, აკაკისი, ვაჟასი... საგალობელივით ისმის ამ გენიოსების მარგალიტები, რომლებიც თითოეული ჩვენგანის ტვინში დვრიტასავით უნდა იდოს. სამოთხის ყვავილები, რომლებიც გუნდრუკის სურნელს აფრქვევენ ირგვლივ, გოგონას აღტაცებასა და უდიდეს სიხარულს იწვევს. გოგონა სიხარულით ეტიკეტებს წმინდა ნინოს: სულ ახლახან ვეზიარე ცურტაველის სიბრძნესო. დავით აღმაშენებელი (დიდი ტოტი დიდი ხისა) პატარა ქართველი გოგონასთვის არის სნეულთა და ობოლთა თავშესაფრის ამგები, ეკლესიების ამშენებელი, ლექსების შემქმნელი, რომელმაც, ამავდროულად, „კარგი ბრძოლაც“ იცოდა.

ზეციურ საქართველოში დიდებულ ქართველთა ადგილი ულამაზეს ჭალადაა ნაჩვენები. აქ ისმოდა სიმღერები, რომელსაც სხვა ვერ ჩასწვდებოდა, ფრესკებით სხვებიც მოიხიბლებოდნენ, „ეკლესიები ციდან სულის მყარ მალამოდ დაკიდებულნი იდგნენ“, დიადი ხალხური პოეზია მხოლოდ ქართველთა საკუთრება იყო, რომლის გაგებაც სხვას არ ეწერა. ასეთი რომ იყო საქართველო, ალბათ, ამიტომაც ირგუნა წილად დედაღვთისამ. ზეპური ერის წიაღში აღზრდილი გოგონას სული სარკესავით სუფთა და ნაკადულივით ანკარა იყო.

საოცარია გოგონას სულიერი აღზევება. ის გვევლინება სახედ და ხატად ღვთისა, რომელიც თავის ზეციურ მამას ებაძება სიყვარულითა და მიტევებით ანთებული გულის წყალობით. როდესაც მოხუცი სტასიკი დაბერდება და განსასჯელად წარსდგება უფლის სამსჯავროზე, დიადი სამხმოვანება და მზე-მარიამი ყმაწვილ მსაჯულს მიანდობენ მკვლელის ბედს. გოგონას გული მოეწურება გაცვეთილპალტოიანი მოხუცი კაცის დანახვაზე. სტასიკის გაცვეთილი პალტო მისი სხეულის გახრწნაზე, ცოდვაზე მიუთითებს უთუოდ, ხოლო ოცდაათი კაპიკი, რომელიც „ჯიბეზე“ ჰქონდა, მკვლელს იუდასთან აიგივებს.

განკითხვის სცენა ძალიან ამაღელვებელი და დამაფიქრებელია. სტასიკის ბარით მოკლული გოგონა ისე მაღლდება ადამიანურ ეგოიზმზე, რომ მიუხედავად ღვთისმშობლის არაერთგზის წინააღმდეგობისა, მაინც შეიბრალებს ჯალათს და ღვთისმშობელს გულმხურვალედ ევედრება ამ უბადრუკი სულის გადარჩენას: *„გთხოვთ, აპატიოთ, ყველაზე დიდო ქალბატონო, ეგა, ცოდოა... მაგან აქაურობისა არაფერი იცოდა-რა, წარმოდგენაც კი არა ჰქონდა. აპატიეთ რა, დიდო მარიამ-ღვთისმშობელო!“*

სიხარულის ცრემლი მოჰგვარა მზე-მარიამს გოგონას სულის სიმაღლემ, მისმა კეთილშობილებამ, ღვთაებრივი სიყვარულით გაბრწყინებულმა გულმა. გოგონამ შეძლო ყველაზე რთული – მტრის სიყვარული, მისთვის ლოცვა და პატიება. ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს მიებაძა, რომლის ბოლო სიტყვები იყო: „შეუნდე, მამაო, რამეთუ არ იციან, რასა იქმან!“

სტასიკი კომუნისტური რეჟიმის სახეა. მისი დაბადებით გამოწვეული ემოცია ისეთივე მიწიერი და ცოდვიანი იყო, როგორიც მთელი ცხოვრება ამ ადამიანის სახედაკარგული არსებისა. ის გაიზარდა უსიყვარულო, უტრადიციო ოჯახში, სადაც ცოლი და დედა იდენტური ცნებები იყო. ის თავად ამბობს:

– დედაც, დღეში ორჯერ მცემს.
– ვინა გცემს?
– დედა. ჩვენში ცოლებს ასე ვეძახით.

სტასიკის ცხოვრება რიგითი სალდაფონის არსებობაა, რომელმაც მხოლოდ „პრიკაზების“ შესრულება იცის და არ ფიქრობს შედეგებზე. როდესაც სამსჯავროზე ღვთისმშობელი სტასიკს მკაცრად სთხოვს პასუხს არაადამიანური საქციელის გამო, სტასიკი ადამის ცოდვას აახლებს ჩვენ თვალწინ და თავის ცოდვას სხვას (იროდს) გადააბრალებს. ეს არის თავისუფლებადაკარგული მონა, სხვისი დამქაში, ბოროტების აღმსრულებელი, უგვანი, უწიგნური, განუსჯელი, რომელიც ფიქრობს, რომ ქართველები იმიტომ უნდა დახოცონ უმოწყალოდ, რომ სტალინის ქვეყნიდან არიან. ავტორი დიდი ტკივილით მოიხსენიებს სტალინს „მაოხრებელ გზირად“, რომელსაც ქართველი ყველაზე ნაკლებად შეიძლება ეწოდოს.

სტასიკისთვის მისაბაძი ადამიანი „სწორუპოვარწარბებიანი ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევი“ იყო, რომელსაც შურნარევი მოწიწებით იხსენებდა ხოლმე: „მე მაგის მეათედი ჯილდოები და ზვანიები მომცა?!“ სიცრუისა და უძრაობის ქვეყანამ მშვიდობიანობის დროშიც კი თავის ბელადს მარშლობა უბოძა (სასაცილოა, სატირელი რომ არ იყოს).

კომუნიზმის დამცველმა, პარტიის ერთგულმა ცალ ხელში ორლესული ბარი დაიკავა, მეორეში – საწამლავი და ისე დაეერია „ღამებნელში, ვერ გათენებულ 9 აპრილში“, ხელში სანთელაციაგებულ ხალხს. ამ სანახაობამ თავიდან აფიქრებინა, ეს „ჩამორჩენილი ეკლესია“ ხომ არ არისო, მაგრამ ბოლოს მიხვდა, რომ ის „ვიღაც რუსტაველის” გამზირზე იყო.

ქართველები პროტესტს კი არ გამოთქვამდნენ, არამედ „მხოლოდ თავისას მოითხოვდნენ“. დაბნეულმა ჯალათმა თავს შემოუძახა: „როგორ, სტალინის ხალხმა კიდევ უნდა მომატყუოს მე?“ არადა, არც ერთ სანთელანთებულ ადამიანს არ ახსოვდა სტალინი, ადამიანი, რომელმაც ამდენი უსიამოვნება მოუტანა ქართველ ხალხს.

კომუნისტური რეჟიმი ბოროტება იყო თავისთავად. ბოროტება კი, იოანე ოქროპირის განმარტებით, *„მხოლოდ ერთი რამაა – ცოდვა, და სიკეთეც მხოლოდ ერთიანია – სათნოება. ყოველივე დანარჩენი, რაც არ უნდა ვუწოდოთ – ბედნიერება თუ უბედურება, – მხოლოდ კვამლია, აჩრდილია და ოცნება“.*

მოთხრობის წაკითხვის შემდეგ მივხვდი, რომ ჩვენ ვერაფერი დაგვამარცხებს, თუკი ისე გვეყვარება ერთმანეთი, როგორც გასაჭირის დროს გვჩვევია ხოლმე.

მარადიული ხსოვნა 9 აპრილს დაღუპულთა სულებს! მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს.

მაია მენთეშაშვილი
ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
დოჩანაშვილი გურამ, მოთხრობა „ორნი აქა, იქა“.

ՍԱՄՈՎԴԵԼՈՒ ԳԱԿՅԵՏՈՒԼԻ

Նորագույն մեթոդների օգտագործումը պատմության դասի ժամանակ

Ազգային ուսումնական ծրագրի հիմնական նպատակն և խնդիրն է աշակերտների մոտ զարգացնել մտածողության հմտությունները (կարողությունները): Դրա համար կարևոր է աշակերտների բազմակողմանի զարգացումը և ներգրավածությունը:

Դպրոցական կրթությունը ունի երկու գլխավոր ուղղություն՝

1. ուսումնական գործընթացը դասի ժամանակ .
2. արտադասարանական աշխատանքներ .

Դասի ժամանակ աշակերտը ստանում է ակադեմիական գիտելիքներ իսկ արտադասարանական աշխատանքներից աշակերտը կարողանում է լրացնել ստացած գիտելիքները և ամրապնդել: Նոր մեթոդների կիրառումով աշակերտների մոտ զարգանում է տեսողական հիշողությունը: ՈՒսուցիչը պետք է աշակերտներին ներառի դասապրոցեսի մեջ,կազմակերպի դասը աշակերտներին հետաքրքրող նյութերով:Նոր կրթության պլանի համաձայն պատմության դասի ժամանակ կարևոր է օգտագործել տարբեր քարտեզներ,էլետրոնային տեսանյութեր,գրքեր,ինտերնետով տեսանյութեր դիտել,թեստային ինքնուրույն աշխատանքներ կատարելը:Ինչպես գիտենք հետազոտությունները ապացուցում են,որ աշակերտները ամենալավը սովորում են այն ժամանակ,երբ նա ակտիվ է դասի ժամանակ և գործունյա է:Այս տեսակետից ելնելով պետք է նշել, որ դասախոսությունների նմանվող դասերը պատմության դասի ժամանակ,նոր նյութի ներկայացումը պատմելու տեսքով ուղղակի ցանկալի չէ: Այս դեպքում աշակերտը պետք է սովորի ոչ թե միայն ուսուցչից, այլ ուրիշ միջոցներով ևս: Մանկավարժը պետք է աշխատի այնպես և օգտագործի այնպիսի նյութեր,որ աշակերտները միշտ լինեն առավելագույնս ակտիվ:

Դասի պլան

Դպրոց	Ծալկայի շրջան Օզնիի գյուղի հանրային դպրոց
Առարկա	պատմություն
Ուսուցիչ	Երանուհի Բաղասյան
Ուսուցման մակարդակը	Բազային աստիճան
Դասարան	VIII
Աշակերտների թիվը	6
Սահմանափակ հնարավորություններով աշակերտների թիվը	0
Թեմա	Հունա-պարսկական պատերազմները

Դասի նպատակը	Աշակերտները կկարողանան դասի ընթացքում ձեռք բերված գիտելիքները ամրապնդել և ավելի մանրամասն կուսումնասիրեն Հունա-պարսկական պատերազմների պատճառներն ու հետևանքները:Ինչ է ֆալանգը,որ քաղաքների մոտ տեղի ունեցավ ճակատամարտերը և ովքեր էին ղեկավարները:
Ազգային ուսումնական պլանի չափորոշիչները	**Պատմ.VIII.1 Աշակերտը կարող է կապել փաստերն ու իրադարձությունները համապատասխան դարաշրջանի հետ:** • Կազմում է աղյուսակ, որտեղ ժամանակագրական հետևողականությամբ, դասավորում է դասագրքում եղած թեմաների հետ կապված նշանավոր փաստերը և դրանք կապում համապատասխան դարաշրջանների հետ: • Զանազանում է պատմական տարբեր դարաշրջանների աշխատանքային և ռազմական գործիքները: **Պատմ.VIII.6. Աշակերտը կարող է ուսումնասիրել հակամարտությունների պատճառները, զարգացումը և հետևանքները:** • Դասարանում խմբային աշխատանք կատարելիս՝ համեմատում է միևնույն դարաշրջանի տարբեր երկրների ռազմական մշակույթները (զերիների, վիրավորների, տուժածների նկատմամբ վերաբերմունքը): • Պատմա-գրական ժառանգության միջոցով որոշում է պատերազմողի վարքականոնը, որով առաջնորդվում էին տարբեր մշակույթների ու տարբեր դարաշրջանների պատկանող պատերազմողները: • Դատողություններ է անում, թե որքանով պարտադիր է ժամանակակից աշխարհում պատերազմական գործողությունների ժամանակ ընդունած օրենքների ու նորմերի պահպանումը: Դատողություններ է անում դրա ինչպես դրական, այնպես էլ բացասական կողմերի մասին: • Թվարկում է պատերազմի տուժածների կարգերը, համադասարանցիների խմբի հետ քննարկում է մի որևէ կարգի իրավունքների սահմանված նորմերը և դրանց պահպանման մեխանիզմները: Համեմատում է ընտրված կարգի նկատմամբ վերաբերմունքի կոնկրետ օրինակները, որոնք վերցված են ինչպես մինչև Միջազգային մարդասիրական իրավունքի մշակումը, այնպես էլ նրա ընդունմանը հաջորդող շրջանում:
Աշակերտների նախնական գիտելիքները և հմտությունները	VII դասարանից աշակերտները գիտեն հունական քաղաք-պետությունների (պոլիսների) մասին, քարտեզի միջոցով կարող են ցույց տալ սահմանները Պարսկաստանի և Հունաստանի,գիտեն հին Հունաստանի պետության կառավարման ձևերը դեմոկրատական, արիստոկրատական,միապետական,օլիգաիխիական:
Գնահատում և ինքնագնահատում	Աշակերտները գնահատվում են ինչպես զարգացնող, այնպես էլ որոշիչ գնահատման տեսքով:
Ուսումնական նյութերը և ռեսուրսները	Դասագիրք,տետրեր, քարտեզներ, գունավոր կամ աշխատանքային թղթեր,պլակատներ պանմական անձանց նկարներով, պաստառներ:

Ակտիվության նկարագիրը	Մեթոդ	Դասարանի կազմակերպման ձևերը	Ռեսուրսը	Ժամանակ	Յուրաքանչյուր ակտիվության վերջում սպասվելիք արդյունքը
1.Կազմակերպչական խնդիրների լուծում. Ուսուցիչը ողջունում է դասարանին եւ արձանագրում աշակերտների մասնակցությունը:	Ողջունում են միմիյանց Ցանկի ընթերցում:	Ամբողջ դասարանը	Մատյան Գրիչ	1ոպե	աշակերտների քանակի հաստատում և նշում:
2. Աշակերտները կատարում են խրախուսական վարժություններ եւ պատրաստվում են դասի սկսվելուն:	Քարտեզների օգնությամբ սահմանների վերհիշում,նախնական գիտելիքի ակտիվացում:	Կատարել անհատական աշխատանք	Քարտեզներ Պլակատ	1ոպե	
3. Դասի թեմայի և նպատակների ծանոթացում, գնահատման չափանիշների ներկայացում:	Դասի վերհիշում Գրատախտակին նախօրոք փակցված նպատակ եւ գնահատման չափանիշներ:	Ամբողջ դասարանը	Գունավոր թղթեր պաստառներ դասագիրք	1ոպե	
4. Տեսանյութի դիտում:	Տեսաերիզների միջոցով աշակերտները տեսնում են Պարսկական զորքի առաջխաղացումը և հունական պոլիսների պայքարը:	Ամբողջ դասարանը	Համակարգիչ Պրոեկտորով	1ոպե	
5.Պլակատների քնարկում՝պատնմական անձանց նկարներով:	Ուսուցիչը յուրաքանչյուր աշակերտի հարցնում է ղեկավարների և զորքերի թվաքանակի մասին:	Անհատական	Պլակատներ Դասագիրք	1ոպե	
6.Թեստային աշխատանք (նախորոք կազմված տարբեր թեստեր,որոնք աշակերտները ստանում են առաջադրանքի ժամանակ):	Աշակերտները կատարում են թեստային աշխատանք ըստ տեսանյութի,յուրաքանչյուր խմբի անդամ ստանում է անհատական առաջադրանք:	Զույգերով կամ խմբակային	Դասագիրք Քարտեզներ	1ոպե	
7.Իմաստի ընկալում:	Աշակերտները բանավոր ամփոփում են դասը, ամեն հաջորդ աշակերտ լրացնում է նախորդին՝ նշելով մեկ կարևոր հարց, որ մտապահել են դասից:	Անհատական	Դասագիրք Քարտեզներ	1ոպե	
8.Դասախոսություն Սլայդ-շոու:	Ուսուցիչը ինքն էլ է ամփոփում դասը և հանձնարարում տնային առաջադրանքը:	Ամբողջ դասարանը	Պրոեկտորով ցուցադրում փոքրիկ սլայդշոու	1ոպե	

ԵՐԱՆՈՒՀԻ ԲԱՂԱՍՅԱՆ
Սևանի թաղամասի Մունիցիպալիտետի Սոֆ. Օզնիի Սաջարոյի դպրոցի պատմության մասնագետ

პედაგოგთა დასახმარებლად

ბულინგის პრევენცია კითხვის საათზე

ლეილა ქათამაძე
სსიპ ჯემალ ქათამაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების წამყვანი მასწავლებელი

„ბულინგი და ძალადობა დღეს სკოლაში საკმაოდ მოხშირდა. ის იწვევს შიშს, დაშინებამ კი შეიძლება გამოიწვიოს მენტალური პრობლემები – სკოლაში წარუმატებლობა, ჰომოციდი და სუიციდი! ამიტომ მისი პრევენცია ადრეული ასაკიდან უნდა დავიწყოთ“(ჟურნალი „ჩაატარე გაკვეთილი“, გვ.2).

იმისათვის, რომ შევძლოთ პრობლემის პრევენცია, სკოლამ უნდა აღიაროს ამ მოვლენის არსებობა. სასურველია, სკოლის თანამშრომლებს შეუერთდნენ მშობლები და ბავშვებიც. მასწავლებლებმა მოსწავლეებს უნდა შეუქმნან უსაფრთხო გარემო, ისეთი პირობები, სადაც ბულინგი ვერ განხორციელდება, რადგან ის აზარალებს როგორც „მსხვერპლს“, ასევე „მჩაგვრელს“.

მასწავლებელი და მშობელი ყურადღებით უნდა იყვნენ, საჭიროების შემთხვევაში შველა და დახმარება სჭირდება, უპირველესად, მსხვერპლს და რა დაუჯერებელადაც უნდა მოგეჩვენოთ, მასთან ერთად, მოძალადესაც – ამბობს ფსიქოლოგი **ელენე გოგიშვილი** (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, „სკოლაში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა“, გვ.18).

ბულინგის წინააღმდეგ უნდა გაერთიანდეს ყველა: სკოლა, ოჯახი და საზოგადოება! დაწყებით საფეხურზე ბულინგის ერთგვარი გამოხატულება დაცინვაა. ხშირად ბავშვები ვერ არჩევენ, სად გადის ზღვარი ბავშვურ ცელქობას და აგრესიას შორის. მასწავლებლები, განსაკუთრებით კი კლასის ხელმძღვანელები, ფხიზლად უნდა ადევნებდნენ თვალს მოსწავლეების სასკოლო ცხოვრებას, მათ საგაკვეთილო პროცესში ჩართულობას და გუნება-განწყობას; უნდა ხვდებოდნენ, რა უხარიათ და რა აწუხებთ მათ აღსაზრდელებს. ამისთვის კი საუკეთესო საშუალებაა სადამრიგებლო საათი. მე სადამრიგებლო საათს საინტერესო სტუმრებთან შესახვედრად ვიყენებ. ვიწვევ წარმატებულ კურსდამთავრებულებს, მშობლებს, მაღალი კლასის მოსწავლეებს, სპორტსმენებს; ვატარებ ერთობლივ გაკვეთილებს მშობლებისა და „უფროსი მეგობრების“ ჩართულობით; ვკითხულობთ მხატვრულ ლიტერატურას და ვმსჯელობთ მოქმედ პირთა დადებით და უარყოფით თვისებებზე. კლასის ხელმძღვანელის ვალია, აღმოაჩინოს პრობლემა და მონახოს გონივრული გამოსავალი. სწორედ ერთ-ერთ ასეთ პრობლემასთან დაკავშირებით მინდა გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება.

მეორე კლასის მოსწავლე ლ... ყველასგან განსხვავდებოდა, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობით. თავი მოსწონდა თავისი გავლენიანი მამით და ყველას აბუჩად იგდებდა. განსაკუთრებით ავიწროებდა ნ...-ს, რომლის მამა მათთან მებაღედ მუშაობდა. ვცადე გასაუბრება, მაგრამ ამაოდ. დედასთან უფრო გამიძნელდა საუბარი. მივხვდი, სხვა გამოსავალი უნდა მეპოვა, ვიფიქრე და გადავწყვიტე, ჩამეტარებინა კითხვის გაკვეთილი მშობელთა ჩართულობით, რომლის მიზანი იყო, მშობლებსა და ბავშვებს ნათლად დაენახათ, რამდენად დიდ ზიანს აყენებს დაცინვა თანატოლებს და როგორ სტკენს მათ გულს!

გაკვეთილი შემდეგნაირად დავგეგმე: გამოწვევის ფაზაში შევთავაზე აქტივობა „რა არის კარგი, რა არის ცუდი“. დაფაზე გაკრული იყო ფლიფჩარტი: „კარგი თვისებები“ , „ცუდი თვისებები“. მშობლებსა და მოსწავლეებს უნდა დაეწერათ მხოლოდ თითო კარგი და ცუდი თვისება და გაეკრათ „სიტყვის ცნების რუკაზე“. გაირკვა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა კარგ თვისებად მეგობრობას, ცუდ თვისებად კი დაცინვას მიიჩნევდა. მეორე აქტივობა დაუსრულებელი ტექსტის დასრულება იყო. ტექსტს მოსწავლეები ასრულებდნენ, მშობლები კი ორი წინადადებით აფასებდნენ. ტექსტი პატარა, განებივრებულ გოგონაზე იყო, რომელსაც გავლენიანი მამა ყველა სურვილს უსრულებდა, მას ყველაფერი საუკეთესო ჰქონდა და თანაკლასელებს დაცინვითა და აბუჩად აგდებით ამწარებდა. ტექსტის ბოლო წინადადება იყო „უცებ მამა ავად გახდა, შეწუხებული გოგონა იჯდა მამის საწოლთან და ფიქრობდა...“ აი, ამის შემდეგ უნდა გაეგრძელებინათ ტექსტი პატარებს, გამოეთქვათ ვარაუდი, რაზე ფიქრობდა გოგონა? მოსწავლეებმა დაასრულეს ტექსტი, გააკეთეს პრეზენტაციები, იმსჯელეს და გამოიტანეს ლოგიკური დასკვნები.

შემდეგმა აქტივობამ მოსწავლეები გაახალისა. ისინი რიგრიგობით სხდებოდნენ „ცხელ სკამზე“, ირგებდნენ მეტიჩარა გოგოს როლს და პასუხობდნენ მშობლებისა და თანატოლების კითხვებს. ისინი გულწრფელები და სამართლიანები იყვნენ! იმის გასაგებად, რამდენად საინტერესო იყო გაკვეთილი პატარებისთვის, გამოვიყენე აქტივობა „ინტერვიუ მოსწავლეებთან“. გაკვეთილი კი შევაფასე რუბრიკით:

რა ვიცოდი?	რა გავიგე?	რას არ გავაკეთებ ამ გაკვეთილის შემდეგ?

გაკვეთილი საინტერესო და მიზნობრივი იყო. ამ გაკვეთილმა მოსწავლეებს საშუალება მისცა, დაენახათ, რა ზიანი მოაქვს დაცინვას თანატოლებისთვის. გაიაზრეს, რამდენად მნიშვნელოვანია თანაგრძნობა და ურთიერთპატივისცემა. გაკვეთილმა მოსწავლეებში სიკეთე და თანაგრძნობა გააღვივა. შეაძლებინა მათ საკუთარი თავი სხვისი თვალით დაენახათ, ჩაღრმავებოდნენ თავიანთ ქცევას და სხვაზე ფიქრი ესწავლათ. გაკვეთილმა მიზანს მიაღწია, ჩემი გოგონა შეიცვალა... ვაკვირდებოდი კლასს და მიხაროდა, ჩემი გაკვეთილი პროდუქტიული გამოვიდა.

ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება უცხოური ენის გაკვეთილზე

ზეპირმეტყველება წარმოადგენს კომუნიკაციის ყველაზე აქტიურ ფორმას. უცხოური ენის სწავლების პროცესში ეს საკმაოდ რთული მიმართულებაა, რადგან მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა და ინფორმაციის გაზიარება მიზნობრივ ენაზე.

მოსწავლეების წარმატება ლაპარაკის უნარის განვითარებაში დამოკიდებულია არაერთ ფაქტორზე. სტატიაში გავამახვილებთ ყურადღებას აპრობირებულ მეთოდებზე და მიდგომებზე, ვისაუბრებთ, თუ როგორ გავამარტივოთ ეს რთული, მაგრამ საჭირო მიმართულება სწავლების პროცესში.

მეთოდური ლიტერატურა გვთავაზობს ორ ძირითად მიდგომას, ზეპირმეტყველების უნარის განვითარებისთვის. **პირველი მიდგომა** გულისხმობს სხვადასხვა სირთულის ენობრივი კონსტრუქციის დაზეპირებას. სწავლების ამ ეტაპზე მიზანშეწონილია სიტუაციური დავალებების გამოყენება. ამაში იგულისხმება დავალებათა კომპლექსი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს სხვადასხვა სიტუაციური ამოცანის დაძლევაში. სიტუაციური დავალებების შედგენისას და გამოყენების დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი კომპონენტები:

- სასაუბრო თემის გარემო (ოფიციალური ან არაოფიციალური);
- საუბრის ადრესატი;
- საუბრის მიზანი.

ზეპირმეტყველების უნარის განვითრება, როგორც წესი, მოიცავს სამ ეტაპს:

1) მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს ერთი-ორი წინადადება. ამისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი სიტუაციური ამოცანები:

- მისალმება;
- მგზავრობა ტრანსპორტით;
- სიტუაცია გაკვეთილზე და ა.შ.

2) მოსწავლე დამოუკიდებლად აყალიბებს მოსაზრებას, რომელიც შედგება 2 და მეტი ლოგიკურად დაკავშირებული ფრაზისგან. ამ ეტაპზე იზრდება სიტუაციების და დავალებების არჩევანი:

- თქვენ მოხვედით გასაუბრებაზე. რა შეგიძლიათ მოყვეთ საკუთარ თავზე?
- მოუყევით მეგობარს, რომელია თქვენი საყვარელი საგანი და აუხსენით რატომ?
- ჩაატარეთ ვირტუალური ექსკურსია ქალაქში და ა.შ.

3) მოსწავლეს შეუძლია მონოლოგის გამოყენება ზეპირმეტყველებაში:

- თქვენი მეგობარი გატაცებულია კომპიუტერული თამაშებით. ისაუბრეთ მათ დადებით და უარყოფით მხარეებზე;
- თქვენ ხართ გატაცებული: მუსიკით, ხელოვნებით, ფერწერით. მოუყევით მეგობარს რომელიმე დარგის გამოჩენილ ადამიანზე.

ზეპირმეტყველების უნარის განვითარების **მეორე მიდგომა** გულისხმობს სტანდარტული ტექსტების გამოყენებას. ამ მიდგომის თანახმად, ტექსტი-მოდელი შემდგომში ეხმარება მოსწავლეს საკუთარი აზრის ჩამაყალიბებაში. როგორც წესი, მსგავსი ტექსტები გაკვეთილზე გამოიყენება წასაკითხ მასალად, მაგრამ მხოლოდ წაკითხვით ვერ შემოვიფარგლებით. აუცილებელია მოდელის გაანალიზება. მასში მოსწავლეები გამოყოფენ მთავარ იდეას და გამოყენების სფეროს. მასწავლებელი ამახვილებს ყურადღებას რთულ ფონეტიკურ და ლექსიკურ ერთეულებზე.

ცხადია, რომ ზეპირმეტყველება აქტუალური საკითხია. განსაკუთრებით ეს მიმართულება მნიშვნელოვანია საბაზო და საშუალო საფეხურებზე. სწავლების ამ ეტაპზე მოსწავლის ზეპირმეტყველება ხდება პრიორიტეტულ ამოცანად. იწყება ენობრივი მარაგის უფრო თავისუფალი გამოყენება როგორც სიმულაციური, ისე რეალური კომუნიკაციის დროს. შესაბამისად, მდიდრდება საკომუნიკაციო სიტუაციების ტიპები. მეცადინეობა მიმდინარეობს უცხოურ ენაზე. ამ დროს უნდა ვიზრუნოთ არა მხოლოდ ენობრივი მასალის მიწოდებაზე, არამედ მოსწავლეების კომფორტულ ფსიქოლოგიურ გარემოზე და მოტივაციის ამაღლებაზე. კომფორტული ფსიქოლოგიური გარემო, პირველ რიგში, ნიშნავს იმას, რომ მასწავლებელი კეთილგანწყობილი, ყურადღებიანი და დაინტერესებული მოსაუბრეა. ენობრივი ბარიერის დაძლევისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს არ ჰქონდეს საკუთარი აზრის გამოხატვის შიში. თუ მოსწავლეს უჭირს საუბარი და შესაბამისი ლექსიკის შერჩევა, მასწავლებელი ეხმარება მინიშნებებით, დამატებითი შეკითხვებით და ა.შ. მსგავსი მიდგომა დაგვეხმარება მოტივაციის ზრდაში.

უცხოური ენის სტანდარტში მითითებულია კონკრეტული მოთხოვნები მოსწავლის ცოდნისადმი. მაგალითად, საბაზო საფეხურზე ის უნდა ფლობდეს შემდეგ უნარებს:

- საკომუნიკაციო სიტუაციის შესაფერისი ფრაზების შედგენა;
- ტექსტის მოსმენის ან წაკითხვის შემდეგ აზრის ჩამოყალიბება;
- მოვლენებთან და ფაქტებთან დაკავშირებით პოზიციის გამოხატვა;
- დიალოგის დროს ადეკვატური რეაგირება მოსაუბრის რეპლიკებზე.

შედეგის მისაღწევად მასწავლებელს შეუძლია სხვადასხვა სახალისო დავალების გამოყენება. მაგალითისთვის განვიხილოთ რამდენიმე:

1) წინადადების აწყობა. აქტივობის მიზანია ვასწავლოთ წინადადების შედგენა. დავალება ითვალისწინებს ჯგუფურ მუშაობას. მასწავლებელი სთავაზობს ჯგუფს მოკლე წინადადებას. შემდეგ ყველა წევრმა რიგრიგობით უნდა დაამატოს თითო სიტყვა და განავრცოს ის.

2) ჯაჭვური მონაყოლი. აქტივობაში მონაწილეობს მთელი კლასი. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს ერთ წინადადებას. ყველა მოსწავლე ამატებს კიდევ ერთს, ისე, რომ არ დაირღვეს ლოგიკური კავშირი წინადადებებს შორის.

3) ერთი წუთი. თითოეულ მოსწავლეს ეძლევა თემა, რომლის გარშემო უნდა ისაუბროს ერთი წუთის განმავლობაში.

ევროსაბჭოს მიერ განსაზღვრული ენის ფლოგის დონეები

ევროსაბჭოს საგანმანათლებლო ენობრივი პოლიტიკის დეპარტამენტმა და უცხოური ენების განყოფილებამ, უცხოური ენების სწავლა/სწავლებისა და შეფასებისათვის, შეადგინა და გამოსცა საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო.

A1	მოსწავლეს შეუძლია კონტაქტის დამყარება მარტივი ფრაზების გამოყენებით (მისალმება, დამშვიდობება, მადლობის გადახდა, მობოდიშება).
A2	მოსწავლე მონაწილეობს მარტივ საკომუნიკაციო სიტუაციებში. ფლობს სტანდარტულ ფრაზებს და ენობრივ კლიშეებს.
B1	მოსწავლეს შეუძლია საკუთარი პოზიციის დაფიქსირება სხვადასხვა სიტუაციაში. თავისუფლად იყენებს ნასწავლ კონსტრუქციებს.
B2	მოსწავლეს შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობა. თავისუფლად იგებს ენის მატარებლის საუბარს. გამოხატავს საკუთარ აზრს უხეში შეცდომების გარეშე.

იულია ტერ-მიქაელიანი
ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა

1) Болокова Н. К., „ТРИ АСПЕКТА В ОБУЧЕНИИ РУССКОМУ ЯЗЫКУ КАК ИНОСТРАННОМУ: ДОВЕРИЕ – МОТИВАЦИЯ – ГОВОРЕНИЕ“;
2) https://skyteach.ru/2017/07/19/prakticheskie-uprazhnenija-na-razvitie/?fbclid=IwAR3GMcJDj02DCwU-uSKtFIPXU7XE q6s8nLJvRg SEtr9EHUC2aMbFC-9YxP4;
3) https://cyberleninka.ru/article/v/obuchenie-govoreniyu-na-zanyatiyah-po-russkomu-yazyku-kak-inostrannomu-s-ispolzovaniem-situatsionnyh-zadach;
4) Л.С. Крючкова, Н.В. Мощинская, „Практическая методика обучения русскому языку как иностранному“. Москва 2011г.;
5) საგნობრივი პროგრამა უცხოურ ენებში. 21.09.2011წ.

პედაგოგთა დასახმარებლად

ორი მნიშვნელოვანი რესურსი არამხატვრულ ტექსტებზე სამუშაოდ

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან სიტყვა „ტექსტის“ მნიშვნელობა იმდენად ფართოვდება, რომ საგრძნობლად სცილდება მის ტრადიციულ, ფილოლოგიურ გაგებას. ფილოლოგიაში ტექსტად მიიჩნევა მხოლოდ ენობრივი ნიშნების ვიზუალურად აღქმადი (დაწერილი) კომპლექსები. ცნების გაფართოების შემდეგ ენობრივი ნიშნების ყველა სწორხაზოვანი ჯაჭვი (მაგალითად, ნიშნების აუდიურად აღქმადი ჯაჭვები, როგორიცაა სპიჩი) ტექსტად იქნა მიჩნეული; მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან ნიშანთა არაენობრივი ჯაჭვებიც (მაგალითად, მათემატიკური და ლოგიკური ფორმულები) ტექსტებს განეკუთვნებოდა; დღეს ტექსტებს არც სწორხაზოვნება მოეთხოვება და ნებისმიერი მეტ-ნაკლებად კომპლექსური ნიშანი (საგზაო ნიშანი, ნახატი, შენობა, მუსიკალური ნაწარმოები, ცეკვა, ენობრივი გამონათქვამი) შეიძლება მივიჩნიოთ ტექსტად. ტექსტის ცნება შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა მედიასთან – ენასთან, ხელოვნებასთან, არქიტექტურასთან, პლასტიკასთან, მუსიკასა და მასობრივ მედიასთან მიმართებით (ცაგარელი, 54). ოცდამეერთე საუკუნე უსიტყვო ტექსტების გაგების უნარსაც ითხოვს. რაც შეეხება ენობრივი ნიშნებით დატვირთულ ტექსტებს, მხატვრულ ტექსტებთან ერთად, გვიწევს საგაზეთო სტატიებთან, ისტორიულ, საბუნებისმეტყველო, მათემატიკურ, ყოფით ტექსტებთან და ა.შ. ურთიერთობა, რაც ჩვენგან მნიშვნელოვან კითხვით უნარებს მოითხოვს. მეოთხე კლასამდე მოსწავლე სწავლობს კითხვას, ხოლო შემდეგ წლებში კი კითხვით უწევს მრავალი საკითხის ათვისება, ამიტომ კითხვის უნარებზე მუშაობის ხარისხი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მოსწავლეთა არა მარტო წიგნიერების დონეს, არამედ დარგობრივ ცოდნასაც.

საინფორმაციო ტექსტები რამდენიმე სახის შეიძლება იყოს. მაგალითად, ქრონოლოგიურად დალაგებულ საინფორმაციო ტექსტებში აზრი დროში თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი; ამბებს შეიძლება ისტორიული ფაქტების, დღიურში ჩანაწერების, პირადი ანგარიშების ან წერილების სახე ჰქონდეს. აქ მთავარი ადგილი უჭირავს ბიოგრაფიებსა და ავტობიოგრაფიებს, რეალური ცხოვრებისეული ამბების დეტალურ აღწერას. არსებობს კიდევ სხვაგვარი, ქრონოლოგიურად ორგანიზებული ტექსტები, რომლებიც პროცედურული სახისაა, მაგალითად, რეცეპტები და ინსტრუქციები. ეს ტექსტები ხშირად იმპერატიული ფორმით ხასიათდება, რაც გულისხმობს, რომ მკითხველს წაკითხულის არა მარტო გაგება, არამედ შესრულებაც მოეთხოვება. ზოგჯერ ინფორმაცია და აზრები დალაგებულია უფრო ლოგიკურად, ვიდრე ქრონოლოგიურად. მაგალითად, კვლევის დოკუმენტი შეიძლება აღწერდეს მიზეზსა და შედეგს, სტატიაში შეიძლება, ერთმანეთს ადარებდნენ სხვადასხვა საზოგადოებას, მოვლენას, ხოლო სარედაქციო წერილში კი შეიძლება წარმოდგენილი იყოს არგუმენტები და კონტრარგუმენტები ან მტკიცებულებებით გამყარებული შეხედულება. ამგვარი დამარწმუნებელი ტექსტების პირდაპირი მიზანია, გავლენა მოახდინოს მკითხველის შეხედულებაზე როგორც პრობლემის არსის, ისე რეკომენდებული გადაწყვეტილების შესახებ. რაც შეეხება აღწერითი ხასიათის საინფორმაციო ტექსტებს, წარმოდგენილია რაიმეს ახსნა-განმარტება, აღწერილია ადამიანები, მოვლენები, ფაქტები. თემატური ორგანიზების შემთხვევაში, ერთ თემასთან დაკავშირებული საკითხები ტექსტში ერთადაა დაჯგუფებული და აღწერილი. ამ შემთხვევაში, აუცილებელია, რომ ინფორმაცია ტექსტის სახით არ იყოს წარმოდგენილი. ამისათვის ტექსტს ურთავენ ისეთ საშუალებებს, როგორებიცაა: ცხრილები, დიაგრამები, გრაფიკები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ერთ საინფორმაციო ტექსტში ხშირად ინფორმაციის წარმოდგენის ერთი ან მეტი ხერხია გამოყენებული. ხშირ შემთხვევაში, ტექსტის სახით მოცემული ინფორმაციაც კი, წარმოდგენილია ცხრილების სახით და ილუსტრირებულია.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, უკვე მესამე კლასში შემოდის საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტების გაგება/გააზრების აუცილებლობა: პედაგოგთათვის საინტერესოა ის ლიტერატურა, რომლებშიც განხილულია საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტების სპეციფიკა, მახასიათებლები, სწავლების მეთოდები და სტრატეგიები. ამ კუთხით, მნიშვნელოვან საგანმანათლებლო რესურსს წარმოადგენს საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის მასწავლებელთათვის გამოცემული სარესურსო წიგნი. წიგნი ეყრდნობა საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევებს და უცხოელი ექსპერტების ნაშრომებს. მასში განხილულია გაგება/გააზრების მნიშვნელობა. ნათქვამია, რომ წაკითხვა (მოტორული) და გაგება მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. დეტალურადაა განხილული ის მნიშვნელოვანი პროცესორები, რომლებიც ტექსტთან ურთიერთობისას ირთვება ბავშვთა გონებაში (ანბანური, ფონოლოგიური, სემანტიკური, სინტაქსური, კონტექსტური). ყურადღება გამახვილებულია ერთ მნიშვნელოვან დეტალზე, რომელსაც სიტყვების გაგება ეწოდება – ლექსიკის გაგება და ტექსტის გაგება მჭიდროდაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან. ამასთან, სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია სწორი ტრაექტორიის მნიშვნელობა. წიგნში საჭირო და კონკრეტული რჩევებია გაგება/გააზრების უნარის ნაბიჯ-ნაბიჯ გადაცემისა და გამომუშავებისათვის. მას შემდეგ, რაც განხილულია კარგი მკითხველის უნარები და სტრატეგიები, განხილულია გაგება/გააზრების ზოგადი პრინციპები, ამ უნარის გასავითარებლად მასწავლებლებისათვის მოცემულია რჩევები. წარმოგიდგენთ ამ რჩევებს, რომლებიც, ვფიქრობ, ყველა მასწავლებელს დაეხმარება მოსწავლეთა გაგება/გააზრების უნარის განვითარებაში: „დაუსახეთ წაკითხულს მიზანი“, „შეარჩიეთ შესაფერისი ტექსტები“, „გამოიყენეთ ხმამაღლა ფიქრი“, „დასვით „რატომ?“ შეკითხვები“, „ასწავლეთ ტექსტის ტიპები და სტრუქტურა“, „გაუმდიდრეთ მოსწავლეებს ლექსიკური მარაგი“, „დააკავშირეთ კითხვა წერასთან“, „ხშირად გამართეთ დისკუსიები, ასაუბრეთ მოსწავლეები წაკითხულის შესახებ“, „მიაჩვიეთ მოსწავლეები გაგება-გააზრების მონიტორინგს“, „ასწავლეთ მოსწავლეებს სქემების/გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება“, „დააკვირდით, თვალყური ადევნეთ და შეაფასეთ“.

მეთოდთაგან და აქტივობათაგან, საინფორმაციო შემეცნებითი ტექსტების დამუშავების თვალსაზრისით, საინტერესოა „კლასტერული რუკა“, რომლის საშუალებითაც ინფორმაციის დახარისხების შესაძლებლობა ეძლევა მოსწავლეს, ამასთან ეს ინფორმაცია მისთვის თვალსაჩინო და თავმოყრილია.

მეორე საინტერესო რესურსს წარმოადგენს ქართული ენისა და ლიტერატურის პირველი-მეექვსე კლასების მასწავლებელთა გზამკვლევი, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის გამოცემულია. ის კიდევ უფრო დეტალურად ეხება არამხატვრული ტექსტების ტიპებსა და მისი სწავლებისას საინტერესო მაორგანიზებლებს.

წიგნი ოთხი ძირითადი თავისაგან შედგება. მის პირველ ნაწილში განმარტებულია სწავლა/სწავლების ძირითადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ეროვნულ სასწავლო გეგმას, ასევე აღწერილია დაწყებითი საფეხურის მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები; მეორე ნაწილში აღწერილია შეფასების პრინციპები სწავლების დაწყებით საფეხურზე და ჩამოთვლილია საშინაო და საკლასო, ასევე შემაჯამებელი დავალებების კომპონენტები ქართულ ენასა და ლიტერატურაში; მესამე ნაწილი მკითხველს სთავაზობს ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის მიმართულებების მიმოხილვას და მათი სწავლებისთვის საჭირო რეკომენდაციებს. აქვე წარმოდგენილია სარეკომენდაციო აქტივობების ჩამონათვალი თითოეული შედეგისათვის. მეოთხე ნაწილში კი დეტალურადაა აღწერილი აქტივობები კლასების შედეგებისათვის; დეტალურად რომ ჩავახედოთ ჩვენი მკითხველი, არამხატვრული ტექსტების დამუშავებისათვის რამდენიმე აქტივობა: ა) 3-2-1 *„აქტივობა საშუალებას მისცემს მასწავლებელს დარწმუნდეს, გაიგო და გაიაზრა თუ არა მოსწავლემ წაკითხული ტექსტი. გარდა ამისა, ეს აქტივობა კითხვის სტრატეგიების დაუფლებასაც გულისხმობს და ხელს უწყობს მოსწავლეს წაკითხულის გააზრებაში“* (ქართული ენა და ლიტერატურა, 163); ბ) აქტივობა ა.ბ.გ. *„დაეხმარება მოსწავლეებს ინსტრუქციის ტიპის ტექსტების არსებითი ნიშნის (მოვლენის, ქმედების, ამბის წარმოდგენა თანმიმდევრული ნაბიჯების/ეტაპების სახით) გააზრებაში. შედეგად მოსწავლეები თავადაც შეძლებენ ინსტრუქციის ტიპის ტექსტების შედგენას თანმიმდევრული ნაბიჯების/ეტაპების წარმოდგენის გზით“* (იქვე,170).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანართი, რომელშიც, როგორც ზემოთ ვახსენეთ, გაანალიზებულია, როგორ და რომელი გრაფიკული მაორგანიზებლებით უნდა დამუშავდეს არამხატვრული ტექსტების ოთხი ტიპი. გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენება სასწავლო პროცესში მასწავლებლებს საშუალებას მისცემს, იმუშაონ წიგნიერების ძირითად უნარ-ჩვევებზე, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარების, ზოგადად, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე.

„ტექსტების სამი ტიპი: ინფორმაციის/მოვლენების თანმიმდევრული გადმოცემა (ჩამონათვალი), აღწერა და ინსტრუქცია წარმოადგენს არამხატვრული ტექსტების ძირითად ტიპებს, რომლებიც ფარავს აზროვნების სამ სახეს: ქრონოლოგიზაციას, კატეგორიზაციას და მიმდევრობით ნაბიჯებს; მეოთხე ტიპი – მიზეზ-შედეგობრივი კავშირების აღდგენა-ასახვას (ახსნას), რომელიც მიზეზ-შედეგობრიობის დადგენას საჭიროებს და წერის ბევრად უფრო რთულ სახეს წარმოადგენს“ (ქართული ენა და ლიტერატურა, 317).

მოცემულია გრაფიკული მაორგანიზებლები თავისი გარეგნული ნიშნის მიხედვით და მეთოდური მითითებები სასწავლო მიზნებთან და აღწერასთან ერთად. ეს მაორგანიზებლებია:

- დროის ისარი, რომლის გამოყენება პირველი კლასიდანვე უპრიანი იქნება და ემსახურება მოვლენების დროითი თანმიმდევრობის დადგენის, მათი სათანადო ქრონოლოგიის დაცვით წარმოდგენის ანალიტიკური აზროვნების და წიგნიერების უნარების განვითარებას;
- „საპნის ბუშტები“, რომელსაც ტექსტის ანალიზის უნარის, კონკრეტული ამოცანის/დავალების გადაჭრისათვის აუცილებელი ნაბიჯების თანმიმდევრობის (ალგორითმის) დადგენის, სასწავლო დროის მართვის, დაგეგმვის, ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარება ემატება;
- „ობობას ქსელი“, რომელსაც ინფორმაციის/მოვლენების არსებითი ნიშან-თვისებების დადგენის გზით (კატეგორიზაცია), დარგობრივი ლექსიკის განვითარება ემატება და ა.შ.

ამ და კიდევ სხვა მაორგანიზებლებს დეტალური ინსტრუქცია ახლავს, თავისი მეთოდური მითითებებით.

ორივე რესურსი მასწავლებლებისათვის მნიშვნელოვან დამხმარე საშუალებას წარმოადგენს, რათა სრულფასოვნად იმუშაონ არამხატვრულ ტექსტებთან.

თამარ ლოგჟანიძე

ინფორმაცია

განვითარებაზე ორიენტირებული გრძელვადიანი სტრატეგია

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით და შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით, გაიმართა სამეცნიერო ფორუმი „მეცნიერების განვითარების პერსპექტივები საქართველოში“, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ბატიაშვილმა** გახსნა.

ფორუმზე განიხილებოდა როგორც მეცნიერების სფეროში არსებული მდგომარეობა, ასევე განათლების რეფორმის გამოწვევები, მეცნიერების განვითარების პერსპექტივები და მისი როლი რეფორმის ახალი სისტემის შექმნაში. გაიმართა ასევე პანელ-დისკუსიები სხვადასხვა დარგში – საბუნებისმეტყველო, მედიცინისა და ჯანმრთელობის, აგრარული, ჰუმანიტარული და ქართველოლოგიური, სოციალური მეცნიერებებისა და ინჟინერიის, ასევე ტექნოლოგიების მიმართულებით.

სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები და დარგის სპეციალისტები. ღონისძიებას ესწრებოდნენ, ასევე, დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

განათლების რეფორმის ახალი ტალღა ყველა მიმართულებით (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი განათლება და მეცნიერება) კომპლექსურ, მათ შორის ინტერდისციპლინურ მიდგომებს გულისხმობს. რეფორმის ფარგლებში, მეცნიერების მიმართულებით, რამდენიმე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი განისაზღვრა, კერძოდ, ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის სისტემასთან მეტი ინტეგრაცია, მეცნიერების პოპულარიზაცია და ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა, მეცნიერების დაფინანსების მოქნილი და ეფექტური სქემების შემუშავება, მეცნიერებასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის ინიცირება-ხელშეწყობა, სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაცია.

„ჩვენი მიზანია მეცნიერების მიმართულებით გვქონდეს განვითარებაზე ორიენტირებული გრძელვადიანი სტრატეგია“ – ამბობს მიხეილ ბატიაშვილი.

ფორუმის „მეცნიერების განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ შემაჯამებელ შეხვედრას საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა უმასპინძლა და მასში მონაწილეობდნენ: პარლამენტარები, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი **ზვიად გაბისონია**, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები. საუბარი შეეხო საქართველოში მეცნიერების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის საკითხს და ფორუმის რეკომენდაციებს.

პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, **მარიამ ჯაში** ამბობს, რომ 30 წლის მანძილზე პირველად ჩატარდა ამ მასშტაბის სამეცნიერო ფორუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ქართველი მეცნიერები, ასევე უცხოეთის წამყვანი სამეცნიერო ცენტრებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლები.

„მთავარი მესიჯი არის ის, რომ მეცნიერება ბრუნდება სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტებში – განაცხადა მან შეხვედრის დასრულების შემდეგ, – *ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენ უნდა მივიღოთ, უახლოეს პერიოდში, სწორედ პრიორიტეტების განსაზღვრაა, თუ რომელ სამეცნიერო სფეროზე გავამახვილებთ ყურადღებას როგორც ჩვენი სამეცნიერო ტრადიციების გათვალისწინებით, ასევე კომერციალიზაციის და საერთაშორისო რანგში საქართველოს მეცნიერების წარმოჩენის პერსპექტივების გათვალისწინებით. ბუნებრივია, ქართველოლოგია, ჩვენი სოფლის მეურნეობის ცალკეული მიმართულებები, როგორიც არის მეღვინეობა, ასევე ხორბლის კულტურების ტრადიცია, პრიორიტეტული სფეროს მაგალითებია, თუმცა გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს შესაბამისი სამეცნიერო წრეების, ასევე, სახელმწიფოს და კერძო სექტორის ჩართულობით.“*

მისივე თქმით, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში ქმედითი რეფორმები მიმდინარეობს როგორც დაფინანსების ზრდის მიმართულებით, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით. გაგრძელდება მუშაობა როგორც ქართველ მეცნიერებთან, ასევე პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით არსებული კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს გააქტიურების მიმართულებით.

გამოცდილება

სამეცნიერო პრაქტიკებით სწავლება ბიოლოგიაში

ბიოლოგია საჭირო, საინტერესო და პრაქტიკაში გამოსაყენებელი საგანია. მასწავლებლის უნარებსა და კრეატიულობაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მიაწვდის მოსწავლეებს სხვადასხვა თემას და დაანახებს საგნის პრაქტიკულ გამოყენებას ყოველდღიურ ცხოვრებაში. სკოლა ის ადგილია, სადაც მოსწავლეები იძენენ ახალ ცოდნას, უნარებს, დამოკიდებულებებს და ექმნებათ შესაძლებლობები, ჩაერთონ თანამედროვე ცხოვრებაში.

ბიოლოგიის გაკვეთილზე სამეცნიერო პრაქტიკების გამოყენება მოსწავლეების ინტერესს ზრდის და კარგი შედეგი აქვს. საკვლევ კითხვაზე პასუხის ძიება, ძიების პროცესში განსხვავებული გზების მოსინჯვა, საკუთარი დასკვნების გამოტანა და მოვლენის/პროცესის საკუთარი „მეცნიერული“ ახსნის წარდგენა არის ახალი ცოდნის ათვისების ძირითადი გზა საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას. სამეცნიერო პრაქტიკები წარმოადგენს იმ უნარებისა და ცოდნის ერთობლიობას, რომელსაც მოსწავლე ამ პროცესში უნდა დაეუფლოს. გაკვეთილის მიმდინარეობისას სამეცნიერო პრაქტიკები იმ ქმედებებსა და აქტივობებში აისახება, რომლებსაც მოსწავლე ასრულებს. სამეცნიერო პრაქტიკები უზრუნველყოფს ახალი გამოცდილების შეძენას აქტიური ფორმით, კეთებითა და აღმოჩენებით სწავლების მეთოდის გამოყენებით. ეს ეხმარება მოსწავლეებს, საგნის სწავლისას მიღებული ცოდნა რეალურ ცხოვრებას, ყოველდღიურ ყოფით სიტუაციებს დაუკავშირონ. ამავე დროს, სამეცნიერო პრაქტიკები მასწავლებლისთვის ერთგვარი ორიენტირია სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, ყოველი გაკვეთილის შინაარსში უნდა გაითვალისწინოს და შესთავაზოს მოსწავლეებს ერთი ან მეტი სამეცნიერო პრაქტიკა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისას რვა სამეცნიერო პრაქტიკაა:

1. საკვლევი კითხვის დასმა;
2. მოდელების შექმნა და გამოყენება;
3. კვლევის დაგეგმვა და ჩატარება;
4. მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია;
5. მათემატიკური აპარატისა და ისტ-ის (ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გამოყენება;
6. მოვლენებისა და პროცესების ახსნა;
7. არგუმენტირებული მსჯელობა;
8. ინფორმაციის მოპოვება, შეფასება და გაზიარება.

ბიოლოგიის გაკვეთილზე ვიყენებ სხვადასხვა სამეცნიერო პრაქტიკას, რომელიც მეხმარება, მოსწავლეებს შევთავაზო ისეთი აქტივობები, რომ მათ დასვან კითხვები, დაამუშაონ ინფორმაცია, გამოკვეთონ პრობლემა და დასახონ ამ პრობლემის მოგვარების ალტერნატიული გზები, იმსჯელონ არგუმენტირებულად, გამოიტანონ დასკვნები, ახსნან და დაინახონ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, შეაფასონ ინფორმაცია და ერთმანეთს საკუთარი იდეები გაუზიარონ. აღნიშნული აქტივობები მოსწავლეს გაკვეთილის პროცესში აქტიურ მონაწილეს ხდის, ის თამნამშრომლობს თანატოლებთან და მასწავლებელთანაც.

გაკვეთილი აქტიური და შემოქმედებითი პროცესია, მოსწავლე კი ამ პროცესის მთავარი წარმმართველი ჯაჭვია.

გაკვეთილის დაგეგმვისას შევარჩიე ისეთი სამეცნიერო პრაქტიკა, რომ გაკვეთილის მიზანი და შედეგი მიღწეული ყოფილიყო:

1. **მოვლენების და პროცესების ახსნა**, რომლის დროსაც მოსწავლეები კონკრეტულ შემთხვევას, ყოფით სიტუაციას თუ ექსპერიმენტის შედეგად მიღებულ მონაცემებს უსადაგებენ შესაბამის მეცნიერულ თეორიებსა და შეხედულებებს. ისინი წარმოადგენენ განსახილველი მოვლენის/პროცესის, ექსპერიმენტის „მეცნიერულ ახსნას“, რომელიც, ერთი მხრივ, მოსწავლის მიერ მოპოვებულ ობიექტურ მონაცემებს ემყარება, ხოლო მეორე მხრივ, არსებულ მეცნიერულ თეორიებს, ჩატარებულ ექსპერიმენტებსა და აღიარებულ შეხედულებებს;
2. **არგუმენტირებული მსჯელობა** – მოსწავლეებს მოჰყავთ არგუმენტები თავიანთი შეხედულების დასაცავად, ამა თუ იმ მოსაზრების ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, დასმულ კითხვაზე საუკეთესო პასუხის/ახსნის მოსაძებნად. ისინი არგუმენტებს სარწმუნო მტკიცებულებების სახით აყალიბებენ, ობიექტურ მონაცემებზე დაფუძნებით, შემდეგ კი მათ დისკუსიის, დებატების, უბრალოდ მოსაზრებების გაზიარების დროს იყენებენ. განსხვავებული ან ახალი მტკიცებულების გაცნობის შედეგად, მათ, შესაძლოა, გადააფასონ და შეცვალონ თავიანთი შეხედულებები;
3. **ინფორმაციის მოპოვება, შეფასება და გაზიარება** – მოსწავლეები სამეცნიერო ხასიათის ტექსტიდან, სტატიიდან, ინტერნეტიდან, ვიდეოლექციიდან და სხვ. მოიძიებენ, შეარჩევენ, დაამუშავებენ, გააერთიანებენ ინფორმაციას. ისინი მოპოვებული ინფორმაციის ორგანიზებას ახდენენ პრეზენტაციების, დიაგრამების, გრაფიკების და სხვა სახით; აფასებენ ინფორმაციის სანდოობას, იყენებენ მას საჭიროებისამებრ და მიღებულ პროდუქტს სხვებს ზეპირი, წერილობითი ან სხვა ფორმით უზიარებენ. ამ გზით იღებენ ცოდნას და თავიანთ იდეებს, შედეგებს, აღმოჩენებს სხვებს უზიარებენ.

ჩემ მიერ გაკვეთილზე გამოყენებული სამეცნიერო პრაქტიკები იყო ეფექტური და შედეგიანი, ხელი შეუწყო საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების აქტიურ ჩართვას და შედეგის მიღწევას.

სასწავლო მიზანი:

- მოსწავლემ იმსჯელოს მემკვიდრეობითი მატერიალური მასალის და მისი მნიშვნელობის შესახებ;
- მოსწავლემ მოიძიოს და დაამუშაოს ინფორმაცია მემკვიდრეობითი მატერიალური მასალის კვლევის ისტორიის შესახებ.

გაკვეთილის მიმდინარეობა:

მოსწავლეებს ვუჩვენე ჩეიზისა და ჰერშის ექსპერიმენტის მიმდინარეობის ანიმაციური მოდელი, დავავალე ყურადღებით მიედევნებინათ თვალი ექსპერიმენტის თითოეული ეტაპის მიმდინარეობისთვის. შემდეგ კი, ექსპერიმენტის შედეგებიდან გამომდინარე, აეხსნათ, რატომ ჩაითვალა დნმ მემკვიდრეობითი ინფორმაციის მატარებელ მოლეკულად. მოსწავლეებმა, ექსპერიმენტის მოდელზე მუშაობის დროს, შემდეგი მიმართულებით იმუშავეს:

- აღწერეს ექსპერიმენტის ეტაპები;
- გააანალიზეს ექსპერიმენტის შედეგები;
- ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით იმსჯელეს მემკვიდრეობითი მატერიალური მასალის მნიშვნელობაზე.

მოსწავლეებს დავავალე მოეძიებინათ ინფორმაცია უჯრედის მემკვიდრეობითი მასალის კვლევის ისტორიის შესახებ და მომდევნო გაკვეთილზე პრეზენტაციის სახით წარმოედგინათ.

ვფიქრობ, სამეცნიერო პრაქტიკებით სწავლება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მოსწავლეებში ზრდის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, შემოქმედებით, ანალიტიკურ, პრეზენტაციის უნარებს და საგაკვეთილო პროცესს საინტერესოს ხდის.

ნანა შუბითიძე
სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის №3 საჯარო სკოლის ბიოლოგიის პედაგოგი

სასწავლო თამაშების როლი დაწყებით კლასებში

განათლებისა და ფსიქოლოგიის სფეროს მკვლევრები აღნიშნავენ, რომ სასწავლო თამაშების როლი მოსწავლეთა წარმატებაში ძალიან დიდია, ვინაიდან ის მჭიდროდ არის დაკავშირებული ბავშვის როგორც კოგნიტურ, ისე ემოციურ და მოტორულ განვითარებასთან. თამაში, ასევე, ხელს უწყობს მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებას, რომლებიც შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე იყოს აქტუალური. მაგალითად, ქართველი ფსიქოლოგის, დიმიტრი უზნაძის აზრით, *„თამაშს ეგოდენ დიდი ობიექტური აზრი აქვს: ამიტომაა, რომ იგი გროსის არ იყოს, ცხოვრების ნამდვილი „მოსალოდნელი სკოლაა“.*

- თამაში ინფორმაციისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების კარგი საშუალებაა, ბავშვები ივითარებენ ვერბალური და არავერბალური, მარტივი და კომპლექსური კომუნიკაციის უნარებს;
- თამაშში ბავშვები ხალისით ერთვებიან და ინტერესით ასრულებენ დავალებებს, ხდებიან უფრო კონცენტრირებულები და ყურადღებიანები, რაც საშუალებას აძლევს მათ, უკეთესად აითვისონ და გაიაზრონ შესასწავლი მასალა. თამაში ეხმარება ბავშვებს, ემოციების საშუალებით, უფრო მარტივად, დამოუკიდებლად ააშენონ ახალი ცოდნა და გამოცდილება, უკვე არსებულზე დაყრდნობით;
- დიდაქტიკური თამაშების გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია, ლამაზად შენიღბოს სასწავლო ამოცანა, რათა მოსწავლე ბუნებრივად, სტრესის გარეშე დაეუფლოს ცოდნას. სასწავლო თამაშების ეფექტიანობა, უპირველეს ყოვლისა, სწავლისადმი დადებითი განწყობის შექმნას გულისხმობს, რომელიც განსაზღვრავს მასში მოსწავლის ჩართვას. თუ დიდაქტიკური თამაშის მიმართ მოსწავლეებს დადებით ემოციურ დამოკიდებულებას შევუქმნით, შედეგიც აუცილებლად დადებითი იქნება, თამაშზე დაფუძნებული სწავლება თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეს ნამდვილად სჭირდება, რადგან თამაშში მონაწილეობა, მოსწავლისთვის სწავლის პროცესს სასიამოვნოს ხდის და გაცილებით იმატებს გაგება-დამახსოვრების ხარისხიც.

დიდაქტიკური თამაშის ამ თვისებებზე ჯერ კიდევ ფ. ფრებელი (XIXს-ის გერმანელი პედაგოგი, „საბავშვო ბაღის“ ცნების ავტორი) და მ. მონტესორი მიუთითებდნენ, როდესაც სწავლებისას თამაშის გამოყენებაზე მსჯელობდნენ. XXI საუკუნეში კი თამაშით სწავლისადმი ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა.

დიდაქტიკური თამაშებით სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებაა და, პირველ რიგში, მათი ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს. ამიტომ, სანამ მასწავლებელი სწავლების ამ ფორმას მიმართავს, მნიშვნელოვანია, შესაბამისი სასწავლო გარემო შექმნას: მოამზადოს თამაშისთვის საჭირო რესურსები, რომელთა შექმნისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეების ინტერესები, უნარები და საჭიროებები, შეარჩიოს კონკრეტული თამაშისათვის კლასის ორგანიზების ოპტიმალური ფორმები, მერხები და სკამები კი განალაგოს სასწავლო თამაშის წესების შესაბამისად.

გთავაზობთ რამდენიმე სასწავლო თამაშს, რომელთაც წარმატებით ვიყენებ ჩემს მოსწავლეებთან კითხვის უნარის, მეტყველების განვითარებისა და ლექსიკური მარაგის გამდიდრების მიზნით:

- **სიტყვები წყვილებში**: მასწავლებელი წყვილებს სთხოვს „სიტყვის სკივრიდან“, რომელშიც შესწავლილი სიტყვებია მოთავსებული, ამოიღონ ხუთი სიტყვა და 1 წუთის განმავლობაში ერთმანეთს ესაუბრონ ნებისმიერ (ან მასწავლებლის მიერ განსაზღვრულ) თემაზე; ბავშვები ცდილობენ, საუბრისას ხუთივე სიტყვის გამოყენება მოასწრონ. თამაშის შემდეგ ეტაპზე ერთვება მომდევნო წყვილი და ასე გრძელდება მანამ, სანამ ყველა არ მიიღებს მონაწილეობას;
- **ნახატების დაგროვება**: მასწავლებელი კლასს ჰყოფს ორ გუნდად, ურიგებს განსაზღვრული რაოდენობის (10-დან 20-მდე) ერთნაირ სიტყვის ბარათებს, რომლებსაც მოსწავლეები შლიან მაგიდაზე ისე, რომ ადვილად იკითხებოდეს; შემდეგ ნახატების დასტიდან სათითაოდ იღებს საგნების გამოსახულებებს და აჩვენებს ბავშვებს. რომელი გუნდის წარმომადგენელიც სწრაფად იპოვის ნახატის შესაბამის სიტყვას, მის გუნდს რჩება ნახატი. ასე გრძელდება თამაში ილუსტრაციების ამოწურვამდე. იმარჯვებს ის გუნდი, რომელიც მეტ ნახატს დააგროვებს;
- **სიტყვების ლოტო**: მასწავლებელი დაფაზე ამაგრებს სიტყვის ბარათებს. მისი მითითებით, ბავშვები თაბახის ფურცლებს კეცავენ 8 ნაწილად, შემდეგ კი ისევ შლიან. მოსწავლეები, დაფაზე გაკრული სიტყვებიდან, შეარჩევენ და მიღებულ უჯრებში წერენ 8 სიტყვას; ამის შემდეგ, თითო მოსწავლე თავისი შევსებული ფურცლიდან ხმამაღლა წარმოთქვამს თითო სიტყვას, დანარჩენები, დასახელებულ სიტყვას, თუკი დაემთხვა, მონიშნავენ თავიანთ უჯრებზე და იძახიან სიტყვას: „ბინგო“. გამარჯვებულია ის, ვინც პირველი მონიშნავს თავის ფურცელზე ყველა სიტყვას. ამ შემთხვევაში გამარჯვებული დაიძახებს: „სუპერბინგო!“ და წყდება თამაში;
- **სიტყვების აკიდო**: მასწავლებელი ჯგუფებს ურიგებს წებოვან ქაღალდებზე დაწერილ თანაბარი რაოდენობის, მაგრამ განსხვავებულ სიტყვებს. შემდეგ, შემთხვევითობის პრინციპით, თითო ჯგუფი იღებს ანბანის ერთ ასოს და ამაგრებს დაფის ზედა ნაწილზე ჰორიზონტალურად. მოსწავლეები თავიანთ ბარათებში პოულობენ სიტყვებს, რომლებიც იწყება მათი ჯგუფის მიერ შერჩეულ ასოზე, გამოდიან და აკრავენ შესაბამისი ასოს ქვეშ. გამარჯვებულია ის ჯგუფი, რომელიც შეძლებს ყველაზე გრძელი „სიტყვების აკიდოს“ შექმნას;
- **სიტყვების გაელვება**: მასწავლებელი წყვილებს/ჯგუფებს აჩვენებს წამიერად „გაელვებულ“ სიტყვის ბარათების გარკვეულ რაოდენობას. ბავშვები ცდილობენ, დროის მცირე მონაკვეთში, დანახული სიტყვების სწორად დასახელებას. მასწავლებელი ინიშნავს სწორ პასუხებს. იმარჯვებს ის წყვილი/ჯგუფი, რომელსაც მეტი სწორად დასახელებული სიტყვა დაუგროვდება;
- **1-წუთიანი საუბარი**: მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები, სურათებიანი ბარათების დასტიდან, მორიგეობით იღებენ თითო ბარათს და 1 წუთის განმავლობაში უნდა შეძლონ შეუჩერებლად საუბარი მასზე გამოსახული საგნის შესახებ;
- **სიტყვების „სნაიპერი“**: მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ნებისმიერ უცხო ტექსტს (წიგნი, ჟურნალი, გაზეთი, ბროშურა) შემდეგ ასახელებს სიტყვას და ბავშვები ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად იპოვონ იგი თავიანთ რესურსში;
- **სიტყვების მარკეტი**: მასწავლებელი წყვილებს/ჯგუფებს ურიგებს განსაზღვრული რაოდენობის, ერთნაირი სიტყვის ბარათებს. შემდეგ იწყებს „ვაჭრობას“, მაგალითად: „წითელ წრეს გავცვლი სამმარცვლიან, საგნის თვისების გამომხატველ სიტყვაში, რომელიც შედგება 7 ასოსგან და იწყება თანხმოვანზე!“. ვინც პირველი იპოვის ამ მახასიათებლების შესაბამის სიტყვას, აძლევს მასწავლებელს და იღებს წითელ წრეს. მასწავლებელი ყოველ ჯერზე ცვლის სიტყვის მახასიათებლებს გაკვეთილის მიზნიდან გამომდინარე. ასე გრძელდება თამაში 3-5 წუთის განმავლობაში. ბოლოს ითვლიან „ნავაჭრს“ და გამოვლინდება გამარჯვებული;
- **სიტყვების დაკავშირება**: მასწავლებელი წყვილებს/ჯგუფებს ურიგებს 5-7 სიტყვის ერთნაირ ბარათს და აძლევს ინსტრუქციას: სცადონ, ეს სიტყვები ერთმანეთს დაუკავშირონ აზრობრივად, მაგალითად, შერჩეული სიტყვები: ტოტები, ქარი, ხე, ძლიერი, ნორჩი, დამტვრევა. მოსწავლეები, სავარაუდოდ, შეადგენენ ასეთ წინადადებას: „ძლიერმა ქარმა ნორჩ ხეს ტოტები დაამტვრია“. მასწავლებელი შერჩეულ სიტყვებში აუცილებლად ურევს ახლად შესწავლილი სიტყვებიდან 1-2 სიტყვას მაინც. თამაშში მონაწილეობა ხელს უწყობს მათი მნიშვნელობის უკეთ გააზრებას და აქტიურ ლექსიკაში დამკვიდრებას.

თამაშით სწავლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებით საფეხურზე, რადგან ამ ასაკის მოსწავლეებში ჯერ კიდევ აქტუალურია თამაშის მოთხოვნილება და მოსწავლეები ყოველთვის სიამოვნებით ერთვებიან სასწავლო მიზნის შესაბამის დიდაქტიკურ თამაშებში, შედეგად – გაცილებით უადვილდებათ ახალი ინფორმაციის აღქმა და უკვე არსებული ცოდნის საჭიროებისამებრ გამოყენება. მოსწავლეთა ინტერაქციის უზრუნველსაყოფად, მასწავლებელმა ხშირად უნდა ცვალოს თამაშები ან გაუკეთოს მოდიფიცირება.

გაკვეთილზე დიდაქტიკური თამაშების სისტემატური გამოყენება მოსწავლეებს ხალისს მატებს და ხელს უწყობს იმ ცოდნისა და უნარების ფორმირებას, რომელთა განვითარება ჰქონდა განზრახული მასწავლებელს სასწავლო გეგმის მიხედვით და რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია საგაკვეთილო სივრცის გარეთაც, პრაქტიკულ ცხოვრებაში.

ნინო გურეშიძე
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაზალეთის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის წამყვანი მასწავლებელი, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულთა კლუბის წევრი

გამოყენებული ლიტერატურა:

- ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024 წწ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- მანანა ბოჭორიშვილი, „დიდაქტიკური თამაშის ფსიქოლოგიური და კოგნიტური საფუძვლები“;
- სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული, კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, I-VI კლასები , (2015)

G-PRIED საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი;
http://mastsavlebeli.ge/?p=10034 http://mastsavlebeli.ge/?p=1814

გამოცდილება

პროექტზე დაფუძნებული სწავლება

პროექტით სწავლება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია.

პროექტზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა სწორედ ინტერაქტიულობის მაღალი ხარისხია. მოსწავლეთა გააქტიურება და სასწავლო პროცესში მათთვის დამოუკიდებლობის მინიჭება, ერთი მხრივ, ზრდის მათ პასუხისმგებლობას და ამასთანავე, მოზარდებს უვითარებს თანამშრომლობით, კვლევით და ანალიზურ უნარებს.

ისინი არჩევანის გაკეთებას და გადაწყვეტილების მიღებას სწავლობენ. ამდენად, პრობლემის მართვა, პროექტის დიზაინი და კვლევა-ძიების პროცესის სადავეები მათ ხელშია. საბოლოო ჯამში, ყოველივე აღნიშნული მოსწავლეს სოციალურ, ემოციურ, ესთეტიკურ, კოგნიტიურ უნარებს უვითარებს.

მასწავლებლები ხშირად ვგეგმავთ და ვახორციელებთ მოსწავლეებთან ერთად სხვადასხვა სახის პროექტებს. ამჯერად მინდა ჩემი გამოცდილება გაგიზიაროთ პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაზე, რომელიც დაიგეგმა და განხორციელდა ქართული ენისა და ლიტერატურის ორი სხვადასხვა სკოლის მასწავლებლის: წალენჯიხის №4 საჯარო სკოლისა და მიქავას №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის.

პროექტის სათაური – „შემოქმედებითი სტარტები“

1. პროექტის აქტუალობა:

ორი სხვადასხვა საჯარო სკოლის (წალენჯიხის №4 და მიქავას №1) მოსწავლეთა გაცნობა, დამეგობრება, თანამშრომლობა.

2. პროექტის მიზნები:

ა. გაკვეთილზე მიღებული ცოდნისა და გამოცდილების რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარ-ჩვევის განვითარება;
ბ. მოსწავლეთა შემოქმედებითი (სხვადასხვა სახის წერითი თუ ზეპირი ნამუშევრები) და საპრეზენტაციო უნარების განვითარება;
გ. შეჯიბრის, თამაშით სწავლების უნარ-ჩვევის განვითარება.

3. საგნობრივი სტანდარტები, რომელსაც ეყრდნობა პროექტი:

ქართ. VII.3. მოსწავლეს შეუძლია სამეტყველო ქცევის შეცვლა საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

- ლექსის ან მხატვრული პროზის ფრაგმენტების ზეპირად კითხვის დროს ინტონაციის საშუალებით გადმოსცემს ნაწარმოებში ასახულ განწყობას და ტექსტის შინაარსის შესაბამისად ცვლის მეტყველების ტემპს, ხმის ტემბრსა და სიმაღლეს;
- ამა თუ იმ სიტუაციის გათამაშებისას წარმოთქვამს ერთსა და იმავე რეპლიკას სხვადასხვა (სიხარულის, გაბრაზების, სიამაყის, მოწყენილობის) განცდის გამომხატველი ინტონაციით;

ქართ. VII. 14.მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ეფექტური ორგანიზებისათვის.

- გადაამუშავებს და გადაათეთრებს ნაწერს, ყურადღებას ამახვილებს როგორც შინაარსზე, ისე სტილის ელემენტებზე;
- დაამუშავებს საბოლოო რედაქციას დამოუკიდებლად ან სხვების (თანაკლასელის, მასწავლებლის) დახმარებით; ასწორებს პუნქტუაციურ, სტილისტურ და ორთოგრაფიულ შეცდომებს.

4. პროექტის ამოცანები:

ა. ხელი შევუწყოთ მოსწავლეების უცხო გარემოსთან ადაპტაციას, დამეგობრება-თანამშრომლობას;
ბ. შეჯიბრის ჩატარება (პროექტის სათაურიდან გამომდინარე, სპორტული თამაშის „მხიარული სტარტების“ გადაკეთება „შემოქმედებით სტარტებად“);
გ. სხვადასხვა შემოქმედებითი აქტივობების განხორციელება (სწრაფი კითხვის უნარის განვითარების, კალიგრაფიული წერის, მცირე ზომის ტექსტების შექმნის, ენობრივი/გრამატიკული დავალებების, ზეპირმეტყველების...).

5. პროექტის განხორციელების წინაპირობები:

- მოსწავლეთა მომზადება, სხვადასხვა დავალების შესრულება, განსახორციელებელი აქტივებებიდან გამომდინარე;
- ფსიქოლოგიური და სოციალური კომპეტენციების გაძლიერება;
- თვითშეფასების უნარის ამაღლება.

6. პროექტის მსვლელობა (ძირითადი აქტივობები):

აქტივობა 1.მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის იდეის გაცნობა;

აქტივობა 2. მოსწავლეების მიერ ამ თემასთან დაკავშირებული მათთვის საინტერესო აქტუალური კითხვებისა და პრობლემების ჩამოყალიბება;

აქტივობა 3. ორგანიზაციული საკითხები:

- ჯგუფების შექმნა;
- ფუნქციების განაწილება;
- კონკრეტული დავალებების მიცემა.

აქტივობა 4. მუშაობის დაწყება (**ძირითადი აქტივობები)**

1. მხატვრული კითხვა;
2. სწრაფი კითხვა;
3. კალიგრაფიის კონკურსი;
4. ანბანის ასოების რიგზე დალაგება სისწრაფეზე;
5. „მწერლობანა“;
6. „მინიშნებებით გამოცნობა“(ბიოგრაფიული მონაცემების მიხედვით მწერლის ამოცნობა);
7. „პოეტობანა“ (რითმის გათვალისწინებით ლექსის წერა);
8.ზარმაცი ეროვნულ გამოცდებზე (ინტუიციის, ლოგიკური აზროვნების შემოწმება);
9. ტექსტის რედაქტირება;
10. „4 სიტყვა = ჩანახატს“;
11. „ვინ უფრო ნაკითხია?
12. „ბაგირის გადაწევა“.

7. პროექტის პროცესის დოკუმენტირება.

8. სასკოლო შეჯიბრის მოწყობა, პრეზენტაცია.

9. მონაწილეთა ასაკი/კლასი: მე-7, მე-8, მე-9 კლასი

10. ვადები/ხანგრძლივობა: ორი თვე.

პროექტის შეფასების კითხვარი მოსწავლეთათვის

მოსწავლეთა თვითშეფასება	საერთოდ არა	ხანდახან	ყოველთვის
ჯგუფი იზიარებდა ჩემს აზრს			
ვიცავდი დროის ლიმიტს			
კონფლიქტი მქონდა თანაგუნდელებთან			
პროექტის პროცესი ჩემთვის იყო სახალისო			
შემდეგ პროექტში მივიღებ მონაწილეობას			

პროექტის შეფასების კითხვარი მასწავლებელთათვის

მასწავლებელთა თვითშეფასება	საერთოდ არა	ხანდახან	ყოველთვის
ვეხმარებოდი მოსწავლეებს			
ვიყენებდი აქტიური მოსმენის ტექნიკას			
პატივს ვცემ მოსწავლის განსხვავებულ აზრს			
პროექტის პროცესი ჩემთვის იყო საინტერესო			
დავიცავი დროის ლიმიტი			

დიაგრამა – ვიცი, მინდა გავიგო, გავიგე

11. პროექტის განხორციელების რისკები, შესაძლო ხარვეზები და მათი თავიდან აცილების გზები:

როგორც ცნობილია, შეჯიბრის მეთოდის გამოყენებისას, თავს იჩენს შემდეგი პრობლემები: თანამშრომლობით ჯგუფებში, ხშირად, მაღალი მოსწრების მქონე მოსწავლეები სამუშაოს უმეტეს ნაწილს აკეთებენ, დანარჩენები კი პასიურობენ, რადგან მორცხვ ბავშვებს შეიძლება გაუჭირდეთ აუდიტორიის წინაშე აზრის გამოთქმა. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად მასწავლებელი წინასწარ უნაწილებს ჯგუფის ყველა წევრს კუთვნილ სამუშაოს (მათი სურვილისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით). ყველას აქვს თავისი დანიშნულება და კარგად იციან, რომ ამ პასუხისმგებლობის თავიდან აცილებით, თავისი გუნდის წარმატებას აფერხებენ.

12. მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეებმა შეძლეს გაკვეთილზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ისინი თავად გაერკვნენ შეჯიბრის, თამაშით სწავლების, სპეციფიკაში, ჩანახატების შექმნასა და ლექსად გარითმვაში, შეძლეს თავად დაეწერათ ჩანახატი, ლექსი. გამოუმუშავდათ სწრაფი კითხვის, მხატვრული კითხვის, ლამაზად წერის, ინტუიციის, თანამშრომლობის, კომუნიკაციის უნარი.

პროექტის/ შეჯიბრის ობიექტურად წარმართვისა და შეფასების მიზნით, ჟიურის წევრად, ეწერის სკოლის პედაგოგი **მთვარისა ფიფია** მოვიწვიეთ. მას წინასწარ გავეცანით თამაშის წესები. *„**მაია ლუკავასა** და **თამარ კაკაჩიას** მეგობრობამ მათ მოსწავლეებზეც გადაინაცვლა. ორი სკოლის მოსწავლეების გაცნობა, თანამშრომლობა, ნამდვილად მისაბაძია. თვითონ კონკურსის სტილი საინტერესო, მიზანმიმართული იყო, ამიტომაც მოახერხეს პედაგოგებმა იმ შედეგის მიღება, რისთვისაც დაიგეგმა ეს პროექტი. განსაკუთრებით აღვნიშნავ მოსწავლეების დამოკიდებულებას პოეზიისადმი, მათ შემოქმედებით უნარს“* – აღნიშნა ქალბატონმა მთვარისამ.

პროექტის რეფლექსია

✓ **მოხერხდა თუ არა დასახული მიზნების მიღწევა?**

მოსწავლეებმა შეძლეს გაკვეთილზე მიღებული ცოდნისა და გამოცდილების რეალურ ცხოვრებაში გამოყენება.
განუვითარდათ შემოქმედებითი (სხვადასხვა სახის წერითი თუ ზეპირი ნამუშევრები) და საპრეზენტაციო უნარები. განუვითარდათ ასევე შეჯიბრის, თამაშით სწავლების უნარები.

✓ **რომელი აქტივობები წარიმართა გეგმის შესაბამისად? რომელი ვერ განხორციელდა და რატომ?**

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ყველა აქტივობა წარიმართა გეგმის შესაბამისად.

✓ **რომელ კომპონენტში იყო პროექტი ყველაზე წარმატებული და რატომ?**

პროექტი წარმატებული იყო შეჯიბრის მიმდინარეობის პროცესში, როდესაც მოსწავლეები მაქსიმალურად ცდილობდნენ საკუთარი ცოდნის დემონსტრირებას.

✓ **რა სარგებელი მიიღეს პროექტის მონაწილეებმა?**

პროექტის მონაწილეებმა, უპირველეს ყოვლისა, თანამშრომლობის გამოცდილება მიიღეს და საგნობრივი ცოდნის დონე აიმაღლეს.

✓ **პროექტის განხორციელების პროცესში მოხდა თუ არა აქტივობების დამატება და/ან მოდიფიცირება და რატომ?**

პროექტის მოდიფიცირება არ დაგვჭირვებია, პროექტი შედგა; მოსწავლეები დღემდე აქტიურად თანამშრომლობენ და მეგობრობენ, სამომავლოდ კიდევ ვგეგმავთ მსგავსი სახის ღონისძიებების ჩატარებას.

✓ **პროექტის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურა:**

ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები (მე-7, მე- 8, მე-9 კლასები), ავტორები: ნათელა მაღლაკელიძე, ნანა ღონღაძე.

თამარ კაკაჩია
სსიპ ვახტანგ კვარაცხელიას სახელობის წალენჯიხის №4 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ინფორმაცია

საჯარო სკოლების მასშტაბური გამწვანება დაიწყო

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, მოსწავლეებში გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიზნით, 29 მარტს, საჯარო სკოლების მასშტაბური გამწვანება დაიწყო.

დიღმის მასივში, აღმაშენებლის ხეივანში, ნუცუბიძის, თოფურიას, იოსებიძის, ყაზბეგის, ფალიაშვილის ქუჩებზე არსებულ 10-მდე სკოლაში 1560 ხე-მცენარე დაირგო. საჯარო სკოლების ეზოების გამწვანების პროექტის ფარგლებში, ამ დროისთვის, დარგულია 4000 ფოთლოვანი და 1000 წიწვოვანი ჯიშის ნერგი.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ბატიაშვილმა** და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, **ლევან დავითაშვილმა**, 117-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად, ხეების დარგვის პროცესში მიიღეს მონაწილეობა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, თბილისის №126 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმაც დაასუფთავეს ეზო, დარგეს 30 ნერგი და დღე ხალისიანად გაატარეს. 2019 წლის 29 მარტიდან, თბილისისა და რუსთავის 160-მდე სკოლაში, 5500 ხეხილის ნერგი დაირგვება.

გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით მოსწავლეების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხეხილის ნერგები გადასცა. აღნიშნული ნერგებით, პროექტის პირველ ეტაპზე, თბილისსა და რუსთავში მდებარე საჯარო სკოლების ეზოები გამწვანდება.

სამინისტროს ინიციატივით, სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში გამწვანების აქციები მომავალშიც გაიმართება. *„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა გამწვანებულ გარემოში გაატარონ თავისუფალი დრო. ეს აქცია გაგრძელდება და იმედი მაქვს, ყველა მოსწავლე ჩაერთვება და მიიღებს მონაწილეობას ხეების მოვლა-პატრონობაში“* – განაცხადა მინისტრმა.

სპორტი

გაგოშიძის პირველი მედალი საქართველოს

გოგონებში საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრებს ახალი წევრი შეემატა – სანკტ პეტერბურგში მცხოვრები **დიანა გაგოშიძე-ფილკინა.** ის 2003 წელსაა დაბადებული და, მამის გვართან ერთად, დედის გვარსაც ატარებს. მან უკვე მიიღო ორმაგი მოქალაქეობა და ბოლო უქმეებზე ტულაშიც იჭიდავა საქართველოს სახელით ჭაბუკთა ევროპის თასზე. გაგოშიძეს ადრეც სურდა ორმაგი მოქალაქეობის მიღება, თუმცა ეს აქამდე ვერ მოხერხდა. მისი წაყვანა მარტის დასაწყისში ანტალიაშიც სურდათ ევროპულ კემპზე, მაგრამ ეს ამბავი სწორედ ორმაგი პასპორტის არქონამ შეაფერხა. ის თბილისშიცაა ნამყოფი სავარჯიშოდ, ამიერიდან კი უფრო აქტიურად ჩაებმება საქართველოს ნაკრების ვარჯიშებში.

რაც შეეხება ზემოხსენებულ ტულას ტურნირს, იქ ჩვენი გუნდები არ გამოსულან, საქართველოს სახელით მხოლოდ გაგოშიძემ იჭიდავა 48 კილოგრამში და წარმატებითაც – ფინალში გავიდა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ტულაში ნანახით თუ ვიმსჯელებთ, გაგოშიძე-ფილკინა ნამდვილად არაა ურიგო მოჭიდავე. იქ მან ფინალამდე სამი შეხვედრა მოიგო და ყველა რუსებთან: ქვეჯგუფში **ალინა ჰუსეინოვა** და **იულია სემიკოლენოვა** ვაზარებით დაამარცხა, ნახევარფინალში კი **აინა მოისეევას** ჯერ ვაზარი აართვა, შემდეგ კი იპონზეც დააგდო. სამაგიეროდ, ფინალში თვითონაც წმინდად დამარცხდა იტალიელ **ასუნტა სკუტოსთან**, თუმცა კარიერაში პირველ წარმატებასაც მიაღწია და საქართველოსაც პირველი მედალი მოუტანა.

ჩაჩავების თასი მასპინძლებს დარჩათ

ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ფარგლებში, საქართველოს 15-წლამდე წყალბურთელთა ნაკრებმა, ზურაბ და როსტომ ჩაჩავების სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ითამაშა და გაიმარჯვა კიდეც.

შეჯიბრებაში, ჩვენს ნაკრებთან ერთად, ბულგარეთის, უკრაინისა და თურქეთის ამავე ასაკის ნაკრებებიც გამოდიოდნენ. ჩვენებმა ჯერ უკრაინას მოუგეს – 20:11, შემდეგ ბულგარეთს 17:6 აჯობეს, ბოლოს კი თურქებს დაძაბულ ბრძოლაში 9:8 სძლიეს. ეს სწორედ საჩემპიონო პაექრობა იყო, რადგან გამარჯვების შემთხვევაში თურქებსაც შეეძლოთ ჩემპიონობის მოპოვება.

ევროპის ჩემპიონატი, 21-28 ივლისს, ბულგარულ ბურგასში გაიმართება, თუმცა მანამდე საკვალიფიკაციო შეხვედრები ჩატარდება. ერთ-ერთ მათგანს – D ჯგუფის თამაშებს ამ დღეებში უკვე უმასპინძლა თბილისმა, სადაც ფინალის საგზურისთვის, ჩვენებთან ერთად, იგივე ბულგარეთი, სლოვაკეთი, სერბეთი, აზერბაიჯანი და ლიეტუვა იბრძოდნენ. ოღონდ ბულგარეთი, როგორც ფინალური ეტაპის მასპინძელი, უკონკურსოდ გამოდიოდა, მხოლოდ სათამაშო პრაქტიკისთვის, ფინალურ ეტაპზე კი სამი საუკეთესო გუნდი გადიოდა.

საბედნიეროდ, ჩვენმა 15-წლამდელთა ნაკრებმა დასახული ამოცანა წარმატებით გადაჭრა, ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა და ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა. ახლო წარსულში ჩვენი სახელოვანი მეკარის – **გელა ტუკვაძის** აღზრდილებმა თავიდან სწორედ ბულგარეთს აჯობეს – 18:4, მას ლიეტუვაც მიაყოლეს – 13:5, აზერბაიჯანს 13:2 სძლიეს, მეოთხე ტურში კი ერთ-ერთ ფავორიტს – სლოვაკეთსაც აღმავლობით ეთამაშნენ და 11:7 მოუგეს. ჩვენებმა მხოლოდ ბოლო შეხვედრა დათმეს ჯგუფის გამოკვეთილ ფავორიტთან – სერბეთთან – 6-13, თუმცა სატურნირო თვალსაზრისით ეს შეხვედრა ბევრს არაფერს წყვეტდა, რადგან მასპინძლებს მეორე ადგილი განაღდებული ჰქონდათ.

საბოლოოდ, ჯგუფში პირველზე სერბები გავიდნენ, მეორეზე – საქართველო, მესამეზე კი – სლოვაკეთი. ამ სამეულმა მოიპოვა ივლისში, ბურგასში, ფინალური ეტაპზე გამოსვლის უფლება.



„ლელო“ და „აია“ ჭაბუკებში

დასასრულს უახლოვდება ჭაბუკ მორაგბეთა ა ლიგის გათამაშება, სადაც მხოლოდ ჩემპიონის ვინაობა დარჩა გასარკვევი – მას ბოლო ტურში ქუთაისის „აიასა“ და თბილისის „ლელოს“ დაპირისპირება გამოავლენს.

ბოლოსწინა ტურში საკმაოდ საინტერესო შეხვედრა გაიმართა ქუთაისში, სადაც ადგილობრივი დერბი შედგა – ლიდერმა „აიამ“ „არესს“ უმასპინძლა და თავდაჯერებისთვის კინაღამ დაისაჯა. ისინი უკვე დიდ ფინალზე ფიქრობდნენ და ძირითადი შემადგენლობაც დაასვენეს. მეტოქემ, პირიქით,

პრესტიჟულ შეხვედრაში თავი გამოიდო და საბოლოოდ „აიამ“, რის ვაი-ვაგლახით, 17:15 გაიმარჯვა.

ამავე ტურში დერბიში მოიგო „ლელომაც“ – თბილისისავე „ხვამლი“ ბევრად უფრო იოლად, 16:7 დაჯაბნა. ამ მოგებების შემდეგ „ლელო“ 57 ქულით დაწინაურდა, „აიას“ 54 გაუხდა და მეტოქეებისთვისაც მიუწვდომელნი გახდნენ, რადგან მესამე ადგილზე „ხვამლი“ იმყოფება 47 ქულით. თავის მხრივ, ეს სამეული გვარიანად უსწრებს დანარჩენებს – მეოთხეზე მყოფ რუსთავის „ხარებს“ მხოლოდ 29 ქულა აქვთ.

ამდენად, დიდ ფინალში თამაშის უფლება „ლელომ“ და „აიამ“ გაინაღდეს, ხოლო ბრინჯაოსთვის „ხვამლი“ და „ხარები“ ითამაშებენ.

საერთაშორისო აკადემიამ თბილისში იყოჩალა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა დედაქალაქის პირველობა 10-წლამდე მოჭადრაკეთა შორის, რომელშიც დიდი წარმატებით გამოვიდნენ თბილისის საერთაშორისო აკადემიის წარმომადგენლები. მათ გოგონებში ოქრო-ვერცხლი დაისაკუთრეს: ჩემპიონი გახდა **თამარ ჭეჭელაშვილი** 6.5 ქულით; მეორეზე კი **ანასტასია ზარქუა** გავიდა 6 ქულით; მას ნახევარი ქულით ჩამორჩა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის აღსაზრდელი **ბარბარე რაზმაძე**.

საერთაშორისო აკადემიის წევრებმა ბიჭებშიც ორი მედალი ირგუნეს, ოღონდ იქ – ოქრო და ბრინჯაო: პირველზე **ლუკა კილაძე** გავიდა 7 ქულით, **ალექსანდრე კვიციანი** კი მესამე იყო 5.5-ით. აქ ვერცხლის მედალი კლუბ „ამომავალი ვარსკვლავის“ წევრმა გიორგი ნასარიძემ მოიპოვა 6 ქულით.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

წიგნის თაროო

გამომცემლობა „ახალი განათლება“ გთავაზობთ

5 ლარი

12 ლარი

~~10 ლარი~~
7 ლარი

~~9 ლარი~~
6 ლარი

ფასდაკლება

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

15 ლარი

ეროვნული გამოცდების სიმულაცია
გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე გარამია

19 ლარი



19 ლარი

გავიმეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

ტესტები ქართულ ლიტერატურაში
ეროვნული გამოცდისათვის

წიგნი I
V-XVIII სს
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40₾

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა



15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები

15 ლარი

სიახლე

მასწავლებლებს!
უნიკალური შესაძლებლობა მარტივად მოემზადოთ გამოცდისთვის!
კრებული სრულად ფარავს პროგრამას I-IV კლასების კომბინირებული გამოცდისთვის. მასში 1000-მდე ტესტური დავალებაა პასუხებით და მეთოდური რეკომენდაციებით.

15 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ქართული (I-VI კლასი)
მასწავლებელთა გამოცდებისთვის

11 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო



6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

სასწავლო პროექტები

11 ლარი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 3 ლარი 80 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.